

ჩემი ადვოკატი

იცოდეთ და დაიცავი
შენი უფლებები

კომპანიის
რეგისტრაცია

მემკვიდრეობის
სამართალი

პერსონალურ
მონაცემთა დაცვა

მართლმართალი
მშობლის
სტატუსი

სიძულვილის ენა
სოციალურ
ქსელში

ნოტარიუსის მიერ
ფაქტების
დადასტურება

ჩვეი ადვოკატი

გამომცემელი
© სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია
ძმ. მუხლაშვილების ქ. N 11
თბილისი 0108
საქართველო
ტელ: +995 32 2 98 78 78
ელ. ფოსტა info@gba.ge
www.gba.ge

რედაქტორი
ეკა ხიმშიაშვილი
დაკაბადონება და დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი
რუსუდან დარჩიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის სარედაქციო
გუნდი

თავმჯდომარე
დავით ასათიანი

აღმასრულებელი მდივანი
გიორგი ჭეხანი

საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა
და ანალიტიკურ საკითხთა
დეპარტამენტის უფროსი
თამთა დევდარიანი

სარედაქციო კოლეგია
თორნიკე ბაქრაძე
ციცინო ცხვედიანი
ვახტანგ მჭედლიშვილი
ირაკლი ბურდული
ირაკლი ყანდაშვილი
მარინე ნიქაბაძე
კონსტანტინე კორკელია
ანა ხურციძე
სესილი ქაღარია
თამთა მურადაშვილი

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება
კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ.
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ნებართვის გარეშე აკრძალულია



04

უახლესი ცვლილებები: რა
უნდა გავაკეთოთ მენარმის
რეგისტრაციისას



08

მართლმართალი მშობლის
სამართლებრივი მდგომარეობა
საქართველოში



12

კერძოაღიარებულ მონაცემთა დაცვის
სისტემა საქართველოში




18

ადვინისტრაციული ორგანოს
პასუხისმგებლობა



26

ადვოკატთა ასოციაციის
საფეხბურთო ნაკრები



28

სოციალურ ქსელში სიძულვილის
ქენის სამართლებრივი რეგული-
რება: არსებული მდგომარეობა
და სირთულეები




34

ნოტარიუსის მიერ ფაქტების
ნამდვილობის დამოწმება და მისი
სამართლებრივი შედეგები



40

სავალდებულო წილის ტრანსმი-
სია და შვილიშვილი სავალდებუ-
ლო წილის მემკვიდრეობითი სა-
მართალურთიერთობის სუბიექტი




48

უკანონობაში თანასწორობის
არარსებობის პრინციპის მთავრე-
და და ფარგლები ადვინისტრაციულ
სამართლებრივ დაჯგუფებაში



56

ადვოკატის Pro Bono საქმიანობის
მნიშვნელობა ადამიანის
უფლებების დაცვისთვის



უახლესი ცვლილებები რა უნდა გავაკეთოთ მენარმის რეგისტრაციისას

ავტორი სალომე ბეჟაშვილი
მმართველი პარტნიორი; ადვოკატი / მედიატორი
საადვოკატო ბიურო - BBK - Business and Law
საქართველოს მედიაციის პალატა

ბიზნესი, იგივე სამეწარმეო საქმიანობა, მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთგვარადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობაა.

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოზე ცნობილია, რომ ის არის მოწინავე ქვეყანა, სადაც ძნელი არ არის ბიზნესის დაწყება, რაც ქმნის მიზმიდევლ საინვესტიციო ინფრასტრუქტურას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის, სამაგიეროდ სიძნელე შეიძლება ჩიხურ გარემოებებში იმალებოდეს.

ბიზნესი თავისი არსით არაერთ კომერციულ, ფინანსურსა თუ ეკონომიკურ საფრთხესთან არის დაკავშირებული, თუმცა ბიზნესზე სამართლებრივი მოწესრიგების საფრთხის უარყოფითი ზეგავლენის საშიშროების აღმოსაფხვრელად და პრევენციისთვის, და არამხოლოდ, შემუშავებული იქნა მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონი, რომელმაც იხილა მზის სინათლე და 2022 წლის 1 იანვრიდან სრულად ამოქმედდა.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივა სამეწარმეო რისკების შემცირებასა და კორპორაციული ურთიერთობების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას ემსახურება, მისი მიზანია ჩვენს ქვეყანასა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესრულება. ამ სიკეთესთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული საკანონმდებლო სიახლე

მეწარმე სუბიექტებისათვის ინვესტიციების მოზიდვას გააადვილებს;

ბიზნესის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა – მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციამდე შესასრულებელია მთავარი მოსამზადებელი სამუშაო – სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, რომელიც პარტნიორთა შორის უფლებებსა და ვალდებულებებს არეგულირებს; პარტნიორთა სიმრავლის, სამეწარმეო საქმიანობის მიზნებისა და სტრუქტურის შესაბამისად უნდა შეარჩიონ ფორმა, რომელიც ბიზნესის ორგანიზაციული საქმიანობის ორიენტირი და გზამკვლევი გახდება;

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს (1) ინდივიდუალური მეწარმის (იმ), (2) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს), (3) კომანდიტური საზოგადოების (კს), (4) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს), (5) სააქციო საზოგადოების (სს) ან (6) კოოპერატივის ფორმით.

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს წერილობით განცხადებასა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

რაც შეეხება სამეწარმეო საზოგადოებას, ამ შემთხვევაში, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგების შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობის დამწყებთ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის წარდგენა ევალებათ;

სადამფუძნებლო დოკუმენტაცია – დღევანდელმა საკანონმდებლო მოწესრიგებამ შემოგვთავაზა სიახლე, რომელსაც არ ითვალისწინებდა ადრინდელი კანონი მეწარმეთა შესახებ; ასეთია ის სადამფუძნებლო შეთანხმება, რომელიც წერილობით ფორმასა და ყველა პარტნიორის ხელმოწერას ითხოვს;

ქართული საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი სადამფუძნებლო დოკუმენტი, წესდება, სწორედ ამ სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს;

წესდება – მხარეებს შეუძლიათ თავად შეადგინონ წესდება კანონით განსაზღვრული იმპერატიული ნორმების (სამი მონაცემი მაინც) გათვალისწინებით: სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი და წილზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვა. თუმცა აგრეთვე შეუძლიათ ავტომატურად დაეთანხმონ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ სტანდარტულ ფორმას;

წესდების გარდა, სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა შედიოდეს სავალდებულო ინფორმაცია: საფირმო სახელწოდება, მისამართი, პარტნიორთა მონაცემები, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები, უფლებამოსილების ვადა და კანონით დადგენილი სხვა ინფორმაცია (ასეთის არსებობისას: გენერალური სავაჭრო წარმომადგენლის, წილის მმართველის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის, კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა სტატუსის, შენატანთა ოდენობის თაობაზე ინფორმაცია და ა.შ.);

ვინაიდან საქართველოში სამეწარმეო საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა (შპს), ამიტომ უფრო მეტ ყურადღებას აღნიშნული ფორმის კანონისმიერ მოწესრიგებაზე გავამახვილებ; თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სადამფუძნებლო შეთანხმებაში ასევე უნდა იყოს ინფორმაცია: (1) გაცემული წილების რაოდენობაზე, მიუხედავად მეწარმის მიერ შესაბამის საფასურის მიღებისა (განთავსებული წილი, რომელსაც დამატებით შევსებით); (2) ნებადართული კაპიტალის; (3) გამოშვებული წილების; (4) წილების ნომინალური ღირებულებისა და (5) წილებთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ;

კანონმდებელი ასევე ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს სააქციო საზოგადოებისა და კოლპერატორის მიმართ წაყენებულ დამატებით მოთხოვნებს სადამფუძნებლო შეთანხმებასთან დაკავშირებით; კოლპერატორის სადამფუძნებლო შეთანხმება კი უნდა შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას პაის ნომინალური ღირებულების შესახებ.

არანაკლებ ყურადღებას სააქციო საზოგადოებათა ორგანიზაციულ - სამართლებრივი მოწესრიგების ახალი ვითარება; დაფუძნებისას აქციონერებმა აუცილებელია სააქციო საზოგადოების განთავსებული, განადგობული და ნებადართული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კაპიტალის ოდენობა განსაზღვრონ, რაც არ წარმოადგენს სხვა სამეწარმეო საზოგადოებებისათვის სავალდებულო მოთხოვნას; აქციონერები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ აქციების გასხვისების შეზღუდვის არსებობაზე, რაც სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა ასახონ; სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას მარეგისტრირებული ორგანო ყურადღებას აქცევს არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასაც, ხოლო ნომინალური ღირებულების გარეშე გამოშვებული აქციების შემთხვევაში – მათ ოდენობას, შენატანის სახესა და შენატანისთვის ვალდებული პირის ვინაობას; თუ ასეთი ფორმით დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობა საჭიროებს ლიცენზიის ან/და ნებადართვის მოპოვებას, აქციონერებმა სადამფუძნებ-

ლო შეთანხმებაში უნდა შეიტანონ არსებული ან სავარაუდო ხარჯი, რომელიც საზოგადოების მიერ არის გასაცემი და დაკავშირებულ მოქმედებათა განხორციელებაში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს უკავშირდება.

ახალმა კანონმა იმპერატიულად მიუთითა მეწარმეს იურიდიულ მისამართთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებლად საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მდებარეობდეს;

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების სხვადასხვა კატეგორიად დაყოფა; ფაქტობრივად, ბიზნესს მიეცა წილების გამოშვებისა და განთავსების შესაძლებლობა, რითაც საქართველოს კანონმდებლობა რელატიურად მისდევს ევროკავშირის რეგულაციებს; სიახლე ამ ფორმით რეგისტრირებულ მეწარმეებს დაეხმარება დამატებითი ინვესტიციისა თუ ფინანსური სახსრების მოზიდვაში, სააქციო საზოგადოებად ან სხვა სახის სამეწარმეო საზოგადოებად გარდაქმნის გარეშე;

საზოგადოების **განთავსებული კაპიტალი**, იგივე საწესდებო კაპიტალი, წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრულ ფულად ოდენობას, რომელიც ეროვნული ვალუტით უნდა გამოისახოს; განთავსებული კაპიტალი ეწოდება თანხას, რომელზეც დამფუძნებელი პარტნიორები თანხმდებიან, რასაც სადამფუძნებლო შეთანხმებაში მიუთითებენ. განთავსებული კაპიტალი სამეწარმეო საზოგადოებისათვის არის არა სავალდებულო (ეს არ ეხება სააქციო საზოგადოებას), არამედ მისი არჩევანია;

განთავსებული კაპიტალი სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამის ტოლი უნდა იყოს, ხოლო, თუ სამეწარმეო საზოგადოებას განთავსებული აქვს ნომინალური ღირებულების არმქონე წილებიც, განთავსებული კაპიტალი განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს უნდა აღემატებოდეს. თუ სამეწარმეო საზოგადოებას განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წი-

ლები, განთავსებული კაპიტალი შეიძლება წებისმიერი ოდენობით განისაზღვროს.

ნებადართულია წილი, რომელიც, პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებელია, მომავალში იქნეს გამოშვებული და განთავსებული. ისიც შესაძლებელია, რომ ნებადართული კაპიტალის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდეს განთავსებული აქციების ოდენობას, რათა ბაზარზე არსებულ საჭიროებათა საპასუხოდ, ინვესტიციების მოსაზიდად, ხელმძღვანელი პირი თავისუფალი იყოს წილების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ნებადართული კაპიტალის ფარგლებში და ყოველი ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საერთო კრების მოწვევა არ მოუწიოს, რაც ბიზნესს - გადაწყვეტილებას მოქნილობას შესძენს;

წესდებით შეიძლება დაშვებული იქნეს წილთა განსხვავებული კლასები; ერთი კლასის ყველა წილის ნომინალური ღირებულება ერთი და იგივე უნდა იყოს. ხოლო სხვადასხვა კლასის წილებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს და მათ შინაარსს წესდება აწესრიგებს. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გამოშვებული ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება თვით პარტნიორებს აქვთ მინიჭებული.

პარტნიორს შეუძლია თავისი წილი გადასცეს (გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს) საზოგადოებისა და პარტნიორთა თანხმობის გარეშე, მაგრამ ის ვალდებულია ამის თაობაზე საზოგადოებას აცნობოს.

მეწარმის რეგისტრაცია – ზემოაღნიშნული სადამფუძნებლო შეთანხმება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრს წარედგინება, მაგრამ მეწარმის რეგისტრაცია გულისხმობს არა მხოლოდ რეგისტრაციის სახელმწიფო რეესტრში, არამედ აგრეთვე სავადასახადო რეგისტრაციასაც;

რეგისტრაციისას მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართვა, თუკი პროცესი ამ ორგანოს ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების რეგისტრაციას ან სარეგისტრაციო მონაცემებში

ცვლილებას გულისხმობს, მაგალითად: „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ავტორიზებული საინვესტიციო კომპანიის მონაცემების ცვლილების განსახორციელებლად აუცილებელია სარეგისტრაციო ორგანოს წარედგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობაც;

მეწარმის რეგისტრაციისას მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მიერ თანხმობის წერილობითი დადასტურებაც კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშნის შესახებ; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმა იმპერატიულად განსაზღვრა დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულების დადების ვალდებულება, რომლის დადების წესსა და პირობებს ერთგვარი სავალდებულო ფორმატით ნორმატიული დონეზე ადგენს, მაგრამ სამოქალაქოსამართლებრივი დისპოზიციურობის პრინციპი და მხარეთა ნებაც არის გასათვალისწინებელი;

ფილიალი – დეტალურად განისაზღვრა მეწარმის ფილიალის რეგისტრაციის წესი, მათ შორის – საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციისთვის საჭირო კანონით კონკრეტულად განსაზღვრული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარდგენა; ფილიალი ვალდებულია ფინანსური და კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოაქვეყნოს ან განათავსოს სამეწარმეო საზოგადოების ან ფილიალის ვებ-გვერდზე.

საფირმო სახელწოდება – ახალმა საკანონმდებლო აქტმა ახლებურად დაარეგულირა საფირმო სახელწოდების შერჩევისა და გამოყენების პრინციპი. საფირმო სახელწოდება უნდა განსხვავდებოდეს უკვე რეგისტრირებული მეწარმის საფირმო სახელწოდებისგან და მეწარმის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცვალოს ან მას უნდა დაერთოს დამატება, თუ ეს საჭიროა ამ სახელწოდების სხვა მეწარმის საფირმო სახელწოდებისგან განსასხვავებლად.

კანონი აწესებს საფირმო სახელწოდების ქართულ ენაზე გამოსახვის ვალდებულებას. ამასთან, სახელწოდება არ უნდა შეიცავდეს ისეთ გრაფიკულ სიმბოლოებს, რომლებსაც არ აქვს ენობრივი ნორმებით

დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი, ასევე განისაზღვრა ზუსტი ჩამონათვალი სახელწოდებაში აკრძალული ტერმინების, მოწოდებისა და სხვა სიტყვათშეთანხმებისა;

პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი, ასევე სარგებლობით მიღებული სარგებელი ან დათმოს სარგებლის მიღების უფლება;

საქმიანი წერილი და ვებგვერდი – საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ტერმინი, – ესაა საქმიანი წერილი; განისაზღვრა მისი აუცილებელი რეკვიზიტები: საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ამ მონაცემთა მიუთითებლობა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აკისრებს დირექტორს (ან სხვა ხელმძღვანელ პირს)

თავდაპირველად გაფრთხილებას, ხოლო შემდეგ – 200-ლარიან ჯარიმას;

ყველა მონაცემი, რომლებიც მითითებულია საქმიან წერილზე, უნდა ჩანდეს აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების ვებ-გვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

მეწარმის რეგისტრაციამდე მნიშვნელოვანია ბიზნესის დაწყების მსურველ პარტნიორთა შორის შეთანხმებისა და „თამაშის წესების“ დეტალიზაცია, ვინაიდან სწორედ სადავო, ჩიხური ან კონფლიქტური სიტუაციების დროს დგება ამგვარი რეგულირების საჭიროება, თუმცა მაშინ, ასეთ დროს როგორც წესი, მხარეები უკვე აღარ არიან მოტივირებული ორმხრივი შეთანხმებით გადაწყვიტონ საკითხი. გრძელვადიანი და ძვირად ღირებული დავის მიზეზიც ხშირად სწორედ ზუსტი წესდება და არასაკმაბრისი რეგულაციებია; სწორედ ამიტომ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ბიზნესის წამოწყებისას სადამფუძნებლო დოკუმენტაციას, რათა გამოირიცხოს შესაძლო ხანგრძლივი სასამართლო პროცესები და საქმიანობის შეფერხება პარტნიორთა დაპირისპირებისა და უთანხმოების გამო.





მარტოხელა მშობლის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

ავტორი მარი ბერუაშვილი
სამართლის მაგისტრი; ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის სამართლებრივი მდგომარეობა

პირისათვის მარტოხელა მშობლის სტატუსი არსებობის მთავარ ღირებულებას, იმ სოციალური გარანტიების გარდა, რომელთაც სახელმწიფო სთავაზობს ან უნდა სთავაზობდეს, გარ-

თულებების გარეშე არასრულწლოვან შვილთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება (მეორე მშობლის თანხმობის გარეშე) და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა წარმოადგენს. შესაბამისად, ბუნებრივია მარტოხელა მშობლის სურვილი, რომ მათი რეალური მდგომარეობა სამართლებრივი სტატუსით იქნეს დეფინიცირებული და

ამის ირგვლივ არსებული საკითხები სრულყოფილად მოაწესრიგოს კანონმდებლობამ, თუმცა სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ სტატუსის მქონე პირებს ვერ სთავაზობს ვერც სრულყოფილ საკანონმდებლო ბაზას და ვერც რაიმე ღირებულ სოციალურ გარანტიებს, რომელთაც შეუძლია მათი და მათი არასრულწლოვანი შვილების წინაშე მდგარი სირთულეების მეტ-ნაკლებად შემსუბუქება.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მარტოხელა მშობლების სამართლებრივ მდგომარეობასა და სტატუსს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლი განსაზღვრავს, რომელიც გვიდგენს მარტოხელა მშობლის ლეგალურ ცნებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, მარტოხელა მშობელს წარმოადგენს მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამავე ნორმით განსაზღვრულ წინაპირობას – უნდა ჰყავდეს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, რომლის დაბადების აქტის ჩანაწერში არ უნდა იყოს შეყვანილი ჩანაწერი ბავშვის მამის/დედის შესახებ. გარდა ამისა, მარტოხელა მშობლის სტატუსი შეუძლია მიიღოს პირმა, რომელსაც 18 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს აყვანილი და ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის 28 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (N1/6/1320) 2022 წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოთხსენებული ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები (მიუხედავად გადაწყვეტილების მიღების თარიღისა სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება გადავადდა ივლისამდე, რათა საფრთხე არ შექმნოდა იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც სადავო რეგულირების საფუძველზე, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მარტოხელა მშობლის სტატუსი), რომლის მიხედვითაც პირის მიერ მარტოხელა მშობლის სტატუსის მიღების შესაძლებლობა შეუძლებელი იყო, იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში შეტანილი იყო ჩანაწერი მისი მეორე მშობლის შესახებ. რაც, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების არსებითად თანასწორ პირებად მიიჩნია მხოლოდ ისეთი მარტოხელა მშობლები, რომლებიც ფაქტობრივად ასევე მარტო ზრდიან არასრულწლოვან შვილს და ამავდროულად, მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხა-

დებულია გარდაცვლილად, აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა, ხოლო ორივე მშობლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ არსებითად თანასწორ პირებად არ იქნა მიჩნეული ერთი მხრივ, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები და მეორე მხრივ, ფაქტობრივად მარტოხელა მშობლები, რომლებიც ერთპიროვნულად იღებენ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას, თუმცა ბავშვის მეორე მშობელი სახეზეა (სასამართლოს განმარტებით სახელმწიფოს მხრიდან

მარტოხელა მშობელს ნარმოადგენს მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამავე ნორმით განსაზღვრულ წინაპირობას – უნდა ჰყავდეს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, რომლის დაბადების აქტის ჩანაწერში არ უნდა იყოს შეყვანილი ჩანაწერი ბავშვის მამის/დედის შესახებ

მშობლისა და არასრულწლოვანი შვილის ურთიერთობაში ისეთი ფორმით ჩარევამ, როგორც არის ბავშვის ერთ-ერთი მშობლის მარტოხელა მშობლის აღიარება, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს). ამრიგად, კანონმდებლობა პრაქტიკულად ისევ სტატუსის მიღება ტოვებს ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, სადაც მოიაზრებიან მარტოხელა მშობლები, რომლებსაც არარეგისტრირებული ქორწინებიდან ჰყავთ შვილები, მაგრამ მათი შვილების და-

ბადების მოწმობებში ფორმალურად დაფიქსირებულია მეორე მშობლის მონაცემები (აღნიშნული მონაცემების ფორმალური არსებობა განპირობებულია მრავალი გარემოებით, როგორც იყო თავდაცვა საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულებისაგან და სხვ.), თუმცა ბავშვის აღზრდის და განვითარების სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთი მშობლის (როგორც წესი დედის) საზრუნავს წარმოადგენს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შემთხვევებში ალიმენტის დაკისრების შესაძლებლობა მეორე მშობლისათვის არც თუ ისე ეფექტურ სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია ამ მშობლის ქონებრივ/ქონების ლიკვიდურ მდგომარეობაზე).

მიუხედავად იმისა, რომ კანონი უშვებს შესაძლებლობას, როგორც დედამ, ასევე მამამ მიიღოს მარტოხელა მშობლის სტატუსი შესაბამისი საფუძვლ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, კანონით დადგენილი კრიტერიუმები პრაქტიკულად გამორიცხავს მამის მხრიდან ამ სტატუსის მიღების შესაძლებლობას, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ მარტოხელა მამების საჭიროებანი არც არის ინტეგრირებული მოქმედ კანონმდებლობაში, უფრო ზუსტად კი:

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბავშვის დაბადების დადასტურების ერთ-ერთ და ხშირად გამოყენებულ საფუძვლად სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მიიჩნევა (იხ. 21-ე მუხლი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა), ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის კი მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვი რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლებისგან დაიბადა თუ არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფთაგან – დაბადების რეგისტრაცია ნებისმიერ შემთხვევაში სავალდებულოა. იმ შემთხვევაში კი, თუ ბავშვი დაუქორწინებელ დედას შეეძინება და არც მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართ-

ლოს გადაწყვეტილება არსებობს მამის დადგენის შესახებ, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამის მონაცემები არ შეიქმნება, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ დედის სურვილის შემთხვევაში იგი უკვე აკმაყოფილებს მთავარ კრიტერიუმს, რომლის საფუძველზეც შეუძლია მართხელა მშობლის სტატუსის მიღება. ე.ი., კანონში არაფერია ნათქვამი, რა შემთხვევაში მიუთითებენ ბავშვის დაბადების ჩანაწერში მხოლოდ მამის მონაცემებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ, მიუხედავად საკანონმდებლო, და ზოგადად თეორიული, დამკვიდრებისა, ჩვენს ქვეყანაში თითქმის არარეალურია აღნიშნული სტატუსის მამის მიერ მიღება, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 28.12.2021 წლის №N1/6/1320 გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლოა ეს მოცემულობა მნიშვნელოვნად შეიცვალოს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან, მას შემდეგ რაც კანონმდებელი შემგვთავაზებს ახლად ფორმულირებულ სამართლებრივ ნორმას სტატუსის მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით.



გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, მართხელა მშობელთან დაკავშირებული საკითხები მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 ივნისის ერთობლივი ბრძანებითაც – N79/O1-18/6, რომლის შესაბამისად, სტატუსის დადგენის შესახებ განცხადების წარდგენის უფლება აქვთ: 1) სტატუსის მძიებელ პირს 16 წლის ასაკიდან, თუ ქორწინების საფუძველზე შექმნილი აქვს ქმედუნარიანობა; 2) სტატუსის მძიებელი 18 წლამდე პირის ერთ-ერთ კანონიერ წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ 16-იდან 18 წლამდე ასაკის პირს ქორწინების საფუძველზე აქვს შექმნილი ქმედუნარიანობა; 3) მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერის თანხმობით, თუ სასა-

მართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი და 4) მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ პირი იმყოფება მურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ; სტატუსის მძიებელი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განსაზღვრულია შემოსენებული ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაბადებულია საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ და სტატუსის მძიებელს არ შეუძლია წარმოადგინოს დაბადების მოწმობა, აღნიშნული დოკუმენტის ნაცვლად შესაძლებელია სააგენტოსთვის წარდგენილ იქნეს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც

დგება შესაბამისი ოქმი. გადაწყვეტილება სტატუსის დადგენის შესახებ განცხადების წარდგენიდან 30-ე დღეს მიიღება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სტატუსის დადგენის შესახებ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დასადგენად აუცილებელია დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის მოპოვება, გადაწყვეტილების გამოტანის ვადა ჩერდება სსენებული დოკუმენტის/ინფორმაციის მოპოვებამდე, არა უმეტეს 6 თვისა.

სტატუსის გაუქმების საფუძვლები

სამოქალაქო კოდექსის მოქმედი რედაქციით მართხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძვლები ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შეილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე სხვა გარემოება, რომელიც გამოირიცხავს მართხელა მშობლის სტატუსის ქონას (1191¹.4 მუხლი). უნდა აღინიშნოს, რომ სსენებული მუხლის მოდიფიცირება 2017 წელს (2017 წლის 22 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებამდე სტატუსის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი მართხელა მშობლის რეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლა გახლდათ), სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წინადადებით მიმართვის შემდგომ განხორციელდა, რაც მიზნად ისახავდა მართხელა მშობლის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლის შესწორებას. მართალია, სახალხო დამცველის ამ წინადადებას პარლამენტმა მხარი დაუჭირა და შესაბამისი ცვლილებაც განხორციელდა, მაგრამ საგულისხმოა, რომ კვლავ დარჩა/რჩება სხვადასხვა სიძნელე მართხელა მშობლის სტატუსის სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, მაგალითად: საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, სტატუსის გაუქმების საფუძვლის სახით გაუქმდა ჩანაწერი

რეგისტრირებული ქორწინების შესახებ, თუმცა ცვლილება არ შესულა საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 16 ივნისის ერთობლივ ბრძანებაში N79/O1-18/6, რომლის 10.1 მუხლის შესაბამისად, მართხელა მშობლის სტატუსის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველად კვლავ მშობლის რეგისტრირებულ ქორწინებაში არსებობა/შესვლა მიიჩნევა. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იერარქიულად ზემდგომი საკანონმდებლო აქტია სსენებულ კანონქვემდებარე აქტთან მიმართებით, მაგრამ ამ მოცემულობის მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ წინაშეა ნორმათა გარკვეული კოლიზია, ვინაიდან სსკ-ის 1191.4 მუხლში გვაქვს შემდეგი ჩანაწერი: „სტატუსის გაუქმების საფუძველია (...) აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება“, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სსენებულ მუხლში სტატუსის გაუქმების საფუძველები არ არის ამოწურავად მოცემული და სავარაუდოა სხვა გარემოებათა არსებობა: მოცემულ შემთხვევაში კანონქვემდებარე აქტით/ბრძანებით გათვალისწინებული რომელიმე დამატებითი საფუძველი, რაც, ბუნებრივია, წარმოშობს სადავო საკითხებსა და გაურკვევლობას სტატუსის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების/მიმდინარეობის პროცესში.

სოციალური გარანტიები

მართალია, მართხელა მშობლის სტატუსის დადგენის საკითხი მეტ-ნაკლებად რეგულირდება დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მაგრამ რამდენად არის იგი სარგებლის მომტანი და ღირს თუ არა პირის მიერ ამ სტატუსის მოსაპოვებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, დოკუმენტაციის შეგროვება და სხვა შესაბამის ქმედებათა განხორციელება, ცალკე განხილვის საგანია, რადგან ჩვენს ქვეყანაში რეალურად

არ არსებობს ისეთი სოციალური გარანტიები ან/და დახმარება, რომლებიც მართხელა მშობლის სტატუსის მოპოვებას მნიშვნელოვანსა და მომგებიანს გახდის, კერძოდ კი, ჯერჯერობით მართხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები არ არიან ცალკე ჯგუფად/კატეგორიად გამოყოფილი და ამ სტატუსის საფუძველზე მათზე არ ვრცელდება რაიმე სახის სოციალური დახმარება ან/და შეღავათი, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა, რომლითაც განსაზღვრულია გარკვეული საგადასახადო შეღავათი – კოდექსის 82.2 („ა.გ“

მართხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძვლები ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე სხვა გარემოება, რომელიც გამოირიცხავს მართხელა მშობლის სტატუსის ქონას

პუნქტი) მუხლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ იხვევება კალენდარული წლის განმავლობაში მართხელა დედის მიერ მიღებული 3 000 ლარამდე შემოსავალი, თუმცა ამ საკანონმდებლო ჩანაწერში შესამჩნევია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებულ მუხლთან არსებული წინააღმდეგობა: სსკ-ის მიხედვით, მართხელა მშობლის სტატუსის მქონე შეიძლება იყოს როგორც დედა, ასევე მამაც; თუმცა, საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმის ხარვეზიდან გამომ-

დინარე, მართხელა მამის წლიურ შემოსავალზე აღნიშნული შეღავათი არ/ვერ ვრცელდება, რაც, ბუნებრივია, დისკრიმინაციული ჩანაწერია. ხარვეზიანია „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის შესახებ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010 წლის N141/6 ბრძანებაც, რომლის მე-7 მუხლში მოცემული ოჯახის დეკლარაციის ბლოკში („სპეციალური სტატუსი და კატეგორია“) აღნიშნულია ოჯახის წევრთა სპეციალური სტატუსი. ბლოკში გათვალისწინებულია სტატუსი „მართხელა დედა“ – პირი, რომელსაც არ ჰყოლია მეუღლე ან ქვრივია და ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ი. ცხადია, პირის სპეციალური სტატუსი და კატეგორია გავლენას ახდენს ოჯახის სარეიტინგო ქულათა ოდენობაზე, ხოლო მოცემული დისკრიმინაციული ხასიათის დებულება ზიანს აყენებს მართხელა მამის სტატუსის მქონე პირს, ამასთან ერთად იგი ვერ ეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191.1-ე მუხლის დეფინიციას, რაც საკანონმდებლო ხარვეზია და, რაღა თქმა უნდა, საჭიროებს გამოსწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე სტატუსისა და მისი მიღებისათვის შესაბამისი საკითხების განსაზღვრისა (რომელშიც, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს არაერთი საკანონმდებლო ხარვეზი), ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არ არის მოწესრიგებული მართხელა მშობლების ირგვლივ არსებული უმნიშვნელოვანესი საკითხები და, ამასთან ერთად, არ არსებობს სახელმწიფო სოციალური გარანტიები/დახმარებები, რომლებიც გადაწყვეტია მართხელა მშობლებისა და მათი არასრულწლოვანი შვილების სამართლებრივი, სოციალური თუ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათ წინაშე არსებული სირთულეების გასამკლავებლად.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემა საქართველოში



ავტორი სალომე ბახსოლიანი
სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე 2020-2022 წლებში

შესავალი

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებისა და მათი ფართოდ გამოყენების კვალდაკვალ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პირთა შესახებ მონაცემების მოგროვება და გამოყენება. ასეთი მონაცემების მფლობელს შესაძლებლობა ეძლევა შეისწავლოს ადამიანთა ქცევა, სურვილები, მათზე გარკვეულწილად იმოქმედოს, სხვადასხვა მიზნით გამოიყენოს მანიპულაცია ან/და მონაცემები. ამ ყველაფერმა ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის არაერთი საფრთხე შექმნა, რის გამოც აუცილებელი გახდა პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი რეგულირება.

პერსონალურ მონაცემთა მასშტაბური და კომპლექსური გამოყენების გამო ადამიანებმა სულ უფრო და უფრო ნაკლები იციან, ვინ რა მოცულობით ამუშავებს ინფორმაციას მათ შესახებ, რაც მათ შესაძლებლობას ართმევს, აკონტროლონ ამ ინფორმაციის გავრცელების არეალი. ადამიანის უფლებაა აკონტროლოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის ცირკულაცია პერსონალურ სივრცესა და გარე სამყაროს შორის.¹ სახელმწიფო ადამიანს უზრუნველყოფს მის შესახებ ინფორმაციის გაკონტროლების მექანიზმებით, რაც შესაძლებლობას აძლევს, არ დაუშვას პირადი ხასიათის ინფორმაციის გავრცელება, თუმცა პერსონალური მონაცემების დაცვა არ გულისხმობს მისი დამუშავების სრულ აკრძალვას. ფიზიკური პირი ზოგ შემთხვევაში ვალდებულიცაა, მოითმინოს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება, განსაკუთრებით, როდესაც ამას საჯარო ან მესამე პირის (მაგალითად, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციის) აღმატებული ინტერესები მოითხოვს.

საერთაშორისო კანონმდებლობა

პერსონალური მონაცემების დაცვის მრავალმხრივ მნიშვნელოვან საერ-

თაშორისო დოკუმენტად მიიჩნევა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი ზედამხედველობით ორგანიზებისა და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაღების შესახებ. 108-ე კონვენცია პირველი და დღემდე ერთადერთი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც უშუალოდ პერსონალური მონაცემების დაცვას ეხება და რატიფიცირებულია არა მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი, არამედ არაწევრი ქვეყნების

მონაცემების მფლობელს შესაძლებლობა ეძლევა შეისწავლოს ადამიანთა ქცევა, სურვილები, მათზე გარკვეულწილად იმოქმედოს, სხვადასხვა მიზნით გამოიყენოს მანიპულაცია ან/და მონაცემები

მიერაც. საქართველოს მიერ 2005 წელს 108-ე კონვენცია, 2013 წელს კი მისი დამატებითი ოქმია რატიფიცირებული.

2018 წელს ევროპისა და მსოფლიოში განხორციელებული რეფორმის შედეგად პერსონალური მონაცემთა დაცვის განახლებულმა სამართლებრივმა ინსტრუმენტებმა სრულიად ახალი სტანდარტები დაადგინა. თანამედროვე ამოცანების გადასაჭრელად 108-ე კონვენციის მოდერნიზების პროცესი 2018 წლის 18 მაისს ცვლილებების ოქმის მიღებით დასრულდა. მოდერნიზებულმა კონვენციამ (ცნობილია როგორც 108+ კონვენცია) მნიშვნელოვნად გაზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები, მათ შორის მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ახალი მექა-

ნიზმების შემოღებით (საქართველოს ვერ არ აქვს ხელი მოწერილი ხსენებულ დოკუმენტზე).

ამის პარალელურად, 2018 წლის მაისიდან, ევროკავშირში ამოქმედდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679, რომელიც მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) სახელით არის ცნობილი. აღნიშნულმა რეგულაციამ სრულიად ახლებური სტანდარტი და მიდგომა დაადგინა არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებისათვის, არამედ გავლენა იქონია მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაზეც მსოფლიო მასშტაბით, ვინაიდან მისი მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ ევროკავშირში დაარსებულ ორგანიზაციებზე, არამედ მისი საზღვრების გარეთაც (მაგალითად, საქართველოში), რადგან საქონელსა და მომსახურებას სთავაზობენ ან მონიტორინგს უწევენ ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფ მონაცემთა სუბიექტებს. ამასთან, რეგულაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა პასუხისმგებლობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევაზე (ჯარიმა შეიძლება შეადგენდეს 20 მილიონამდე ევროს ან საწარმოს წლიური ბრუნვის 2-4%-ს, თუ ეს ციფრი უფრო მაღალია), რამაც საგრძნობლად გაზარდა ორგანიზაციების მოტივაცია, თავიანთი საქმიანობა რეგულაციით დადგენილი სტანდარტებისთვის შეესაბამებინათ.

ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებებს; ამასთან, ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებსა თუ სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს

ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობისა თუ სხვათა უფლებების დასაცავად. აღნიშნული დებულებები პერსონალური მონაცემების დაცვის კონსტიტუციურ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული, რომელთა რეალიზების გარანტიები სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, მათ შორის საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, არის დადგენილი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირთან დაახლოების პროცესის პარალელურად პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები გაატარა: 2011 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2013 წლის კი შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე საზედამხებლო ორგანო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სახით (2019 წლის მაისში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა გაუქმდა, მის უფლებამონაცვლედ კი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჩაითვაა, 2022 წლის პირველი მარტიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე საზედამხებლო ფუნქციას განახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური).

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (შემდეგ – კანონი) საბაზისო სამართლებრივი აქტია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, რომელიც ეტაპობრივად ამოქმედდა საჯარო და კერძო სექტორის მიმართ (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან). მომდევნო წლებში საერთაშორისო სტანდარტებთან დასაახლოებლად მასში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა.

კანონის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას უზრუნველყოფის, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, დაცვა. კანონი არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებს (მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების), ისე კერძო კომპანიებსა და ზოგ შემთხვევაში მოქალაქეებს შორისაც, განსაზღვრავს ინდივიდთა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ უფლებებს და მათი უზრუნველყოფის გარანტიებს.

კანონის მოქმედების არეალი გარკვეულ შემთხვევებში სრულად ან ნაწილობრივ იზღუდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: მონაცემთა დამუშავება სასამართლოში სამართალწარმოებისათვის, სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა დამუშავება სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის და მედიასაშუალებათა მიერ მონაცემთა დამუშავება საზოგადოების ინფორმირებისათვის, აგრეთვე ხელოვნებისა თუ ლიტერატურისათვის და ა.შ. (იხ. კანონის მე-3 მუხლი).

კანონით არის დადგენილი მონაცემთა დამუშავების ძირითადი წესები და პრინციპები. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება და მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობა არსებითად მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვას ემყარება, ესენია: მონაცემების სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღაზავად დამუშავების პრინციპი; მონაცემების დამუშავების დასაშვებობა მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებით. სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი, მიზნით დამუშავების დაუშვებლობა; მონაცემების მხოლოდ შესაბამისი, კანონიერი მიზნის მისაღწევად აუცილებელი, ადეკვატური და პროპორციული მოცულობით დამუშავება; მონაცემების ნამდვილობა და სიზუსტე; მონაცემების განსაზღვრული ვადით შენახვა.

კანონი ამომწურავად ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც მონაცემთა სუბიექტის (ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება) თანხმობის გარეშეა შესაძლებელი მონაცემთა დამუშავება, მაგალითად მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული შემთხვევა; ასევე მონაცემთა დამუშავების საჭიროება კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად; მონაცემთა დამუშავების საჭიროება მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; მონაცემთა დამუშავების საჭიროება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა მონაცემთა დამუშავების ან მესამე პირის აღმატებული კანონიერი ინტერესების დასაცავად; მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა მონაცემთა სუბიექტის განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად.

კანონი კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის ე.წ. მგრძობიარე მონაცემების (მაგალითად, პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურსა თუ ფილოსოფიურ მრწამსთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემები) დამუშავებას, გარდა კანონით ამომწურავად გათვალისწინებული შემთხვევებისა, რადგანაც, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ასეთი მონაცემების უკანონოდ შეგროვებამ, შენახვამ ან გავრცელებამ შესაძლოა შექმნას პირადი ცხოვრების ხელყოფის, ადამიანის დევნის, შვიწროების ან სხვაგვარი დისკრიმინაციის საფრთხე.

გარდა ამისა, კანონი გამოყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავების რამდენიმე სპეციფიკურ შემთხვევას, როდესაც მონაცემების დამუშავება საჭიროებს განსხვავებულ მდგომარეობას, მაგალითად: ადგენს ქუჩასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კერძო და საჯარო დაწესებულებებში, საცხოვრებელ შენობებში ვიდეოთვალთვალის

განხორციელების, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების, გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემების დამუშავების საგანგებო წესებს.

ასევე სპეციალურ რეგულირებას ექვემდებარება მონაცემების სხვა სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა. მონაცემების სხვა სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა დამუშავებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და, თუ შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები?; ასევე, როდესაც მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით; ან მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები და მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებების დაცვა მონაცემთა დამუშავებულსა და მონაცემთა მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მონაცემთა გადაცემა მხოლოდ საზედამხებლო ორგანოს სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ შეიძლება.

კანონში სპეციალური თავი ეთმობა მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. მონაცემთა სუბიექტს აქვს: მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის უფლება, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება, თანხმობაზე უარის უფლება, გასაჩივრების უფლება. კანონით დარეგულირებულია აღნიშნულ უფლებათა რეალიზების დეტალური პროცედურა და მონაცემთა დამუშავებული ორგანიზაციის შემხვედრი ვალდებულებები. მონაცემთა სუბიექტის ზემოწამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ზოგ შემთხვევაში, რომლებიც კანონის 24-ე მუხლით ამომწურავადაა განსაზღვრული.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევისას მიმართოს საზედამხებდველო ორგანოს ან სასამართლოს, ხოლო, თუ მონაცემთა დამუშავებული საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შეუძლია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

კანონი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართულ პირებზე დაკისრებულ ვალდებულებებს. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ამ პროცესში მონაცემთა დამუშავებელ ორგანიზაციას აკისრია, ვინაი-

სახელმწიფო ადამიანს უზრუნველყოფს მის შესახებ ინფორმაციის გაკონტროლების მქონე იმდენი ინფორმაციის გავრცელება, თუმცა კერძო პირის მონაცემების დაცვა არ გულისხმობს მისი დამუშავების სრულ აკრძალვას. ფიზიკური პირი ზომ შემთხვევაში ვალდებულია, მოითმინოს მისი კერძო პირის მონაცემების დამუშავება, განსაკუთრებით, როდესაც ამას საჭირო ან მესამე პირის (მაგალითად, მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციის) აღმატებული ინტერესები მოითხოვს

უნდა იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საფრთხისა.

კანონი ადგენს პასუხისმგებლობას მონაცემთა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავების, მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევის, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობის, მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის გამოყენების წესების დარღვევის, ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევის, მონაცემთა დამუშავების მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევის, საზედამ-

დან სწორედ ის განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს. ხაზგასასმელია მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება: მონაცემთა დამუშავებული ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, სხვა ნებისმიერი ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვის მიღებული ზომები ადეკვატური

ხედელო ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო და ა.შ. კანონით დადგენილი ჯარიმების ოდენობა 100-დან 10000 ლარამდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განიხილება. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ჩადენილ დარღვევათა მიმართ მოქმედებს ამავე კოდექსით დადგენილი ორთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

გარკვეულ შემთხვევებში პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების დარღვევა შეიძლება სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფისათვის, თუ ეს მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მაისში საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ავტორობით წარდგენილ იქნა საკანონმდებლო წინადადება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტსა და მის თანმდევ ცვლილებებთან დაკავშირებით. საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება განპირობებული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების, საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად კანონმდებლობის დახვეწის საჭიროებით. თუმცა კანონპროექტი საპარლამენტო განხილვის საწყის ეტაპზეა.

საზედამხედველო ორგანო

როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წელს შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დამცავი საზედამხედველო ორგანო დაცვის ინსპექტორის სახით. საქართველოს კანონის – „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ შესაბამისად, 2019 წლის მაისში გაუქმდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა და მის უფლებამონაცვლედ სახელმწიფო ინსპექტორი და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჩაითვალა. 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაუქმდა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა-

ზე ზედამხედველობის მიზნით 2022 წლის 1 მარტიდან შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. სამსახური დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა და არ ექვემდებარება არც რომელიმე ორგანოსა და არც თანამდებობის პირს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ 6 წლის ვადით და ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს. ამ სფეროში საზედამხედველო ორგანოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);

- საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლება.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევის შემთხვევაში საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ასევე მოითხოვოს დარღვევისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ხარვეზების მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში გამოსწორება, მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, თუკი მიიჩნევს, რომ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებ-



ლობის დარღვევით, წერილობით მისცეს რჩევა და რეკომენდაცია გაუწიოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით და ა.შ.

შემდგომი ნაბიჯები

ბოლო ათწლეულის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველომ არაერთი პროგრესული ნაბიჯი გადადგა. მიუხედავად ამისა, საქართველოსთვის, როგორც ევროპული სამართლებრივი კულტურისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესში მყოფი ქვეყნისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია სადღეისო ამოცანების საპასუხო სტანდარ-

ტების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. 108+ კონვენციის დროული ხელმოწერა და რატიფიკაცია, GDPR-ისა და კონვენციის სტანდარტების შესაბამისი კანონის მიღება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მომდევნო ნაბიჯებია ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანამედროვე სამართლებრივი კულტურის განსამტკიცებლად.

წყაროები:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995;
2. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომა-

ტური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“, 28.01.1981;

3. ევროპის საბჭოს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაღებისასთან დაკავშირებით“, 08.11.2001;

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას;

5. FRA data protection handbook, 2018 edition;
6. სხირტლაძე ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2017.

1 სხირტლაძე ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2017, გვ. 7
2 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის 16 სექტემბრის N1 ბრძანებით დადგენილია 27 ქვეყანა, სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.



ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

ავტორი გიორგი გვენეტაძე
ტრენერი, ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე

მანამედროვე სახელმწიფოში ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც სახელისუფლებო ძალა-უფლების მატარებელი სუბიექტის, მოვალეობაა საჯარო სამართლებ-

რივი უფლებამოსილების იმგვარად განხორციელება, რომ დაცული იყოს კერძო პირთა უფლებები მათი არამართლობიერი შეზღუდვის, მატერიალური ან/და მორალური ზიანის ასაცილებლად.

ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირები, სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები, პასუხს აგებენ სხვა პირისათვის მიყენებული მატერიალური ან მორალური ზიანის გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მის

საფუძველზე საქართველოს სასამართლოების მიერ წლების განმავლობაში დადგენილი პრაქტიკის მიხედვით ადაპტირებულია ზიანის ანაზღაურების შესაბამისი წესები (მათ შორის წინაპირობები).

თუმცა ამა თუ იმ პირს შეიძლება ზიანი მიადგეს არა მხოლოდ კერძო პირის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მხრივაც, ესენი არიან სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან კანონის საფუძველზე დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სხვა პირები. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება პასუხისმგებლობა დაზარალებულის მი-

მართ იმ წესით, რომელიც ძირითადად მსგავსია სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ზიანის ანაზღაურების პროცედურისა, თუმცა ახასიათებს გარკვეული თავისებურებებიც.

შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სუბიექტებისთვის, მათ შორის ადვოკატებისთვის, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დადგენილი წესების სწორად და ერთნაირად გაგება.

აღსანიშნავია, რომ თვით მოწინავე დასავლურ ქვეყნებშიც კი – საფრანგეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია – სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მხო-

ლოდ მე-20 საუკუნის შუა პერიოდის ჩათვლით იქნა სრულად კანონმდებლობით აღიარებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, კონტინენტური სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოთა პასუხისმგებლობა სხვადასხვა შემთხვევაში არასრულია.

რაც შეეხება საქართველოს, ამ კუთხით არსებული სამართლებრივი ვაკუუმი დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ ნაწილობრივ მხოლოდ 1997 წელს შეავსო, კერძოდ, ახლად მიღებული სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით დადგინდა სახელმწიფო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის შემდეგი სტანდარტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1997 წლის 27 ივნისის რედაქცია):

„1. თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიძობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივ გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

3. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით აღმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს“ (დღეის მდგომარეობით სკ-ის 1005-ე მუხლის მოქმედ რედაქციას არსებითად იგივე შინაარსი აქვს).

ამდენად, ვიდრე საქართველო მიიღებდა და ამოქმედებდა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთა არამართლზომიერი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით რეგულირდებოდა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 1999 წლის 17 ივნისს და მოქმედებს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საჯარო მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი სუბიექტების გან-

საზღვრებისთვის კონკრეტული ნორმა-კანონმდებელმა სწორედ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში გაითვალისწინა და ყველა ეს ორგანო ერთი ცნების – „ადმინისტრაციული ორგანოს“ სახელით გააერთიანა. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა „ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.“

რაც შეეხება საკუთრივ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესსა და წინაპირობებს, ამ საკითხს არეგულირებს კოდექსის XIV თავი, რომლის საფუძველზე დადგენილ ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობის სტანდარტს შეიძლება პროგრესული ეწოდოს. ამის დასტურად უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა შესაძლოა პირის მიმართ გათვალისწინებულია არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული (არამართლზომიერი) ქმედების, არამედ არაბრალეული, ე. ი. კანონიერი და მართლზომიერი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ქმედების გამოც.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები, თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის რეგულირების შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის ნორმები მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენონ, თუკი შესაბამისი საკითხი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არ რეგულირდება.

აღნიშნული დანაწესის სწორი გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან

დღემდე პრობლემატურია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების დროს სამოქალაქო კოდექსის ნორმების, განსაკუთრებით 1005-ე მუხლის, გამოყენების საკითხი რეგულაციების გარკვეული კოლიზიის თვალსაზრისით, ამიტომ ამ საკითხს ქვემოთ ვრცლად შევხებით.

სზაკ-ის 208-ე მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო და მუნიციპალური ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო თუ საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა შესაბამისად ეკისრება სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტს. ხოლო, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე ახორციელებს, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებულ ზიანზე სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელი.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე აღარ არის მითითებული კონკრეტულ საჯარო მოხელეთა პირად პასუხისმგებლობაზე, ზიანზე ვალდებული სუბიექტი კი კონკრეტულია: სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლიდან საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობის სტანდარტიც შესაბამისად იქნა განსაზღვრული, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

ამდენად, საქართველოს კანონმდებ-

ლობით აღიარებულია საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოწვეული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის დაცვაც შიდა საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ასევე სამოქალაქო კოდექსით.

თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანია აღნიშნული დანაწესების სწორი განმარტება და პრაქტიკაში დანიშნულებისამებრ გამოყენება.

უპირველესად შევხებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივ მართებას სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველსა და მე-2 ნაწილებთან – უშუალო ზიანის მიმყენებელი კონკრეტული საჯარო მოხელის სოლიდარული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე იყო ერთადერთი ნორმა საჯარო სამართლის სუბიექტის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის საკითხის სამართლებრივი მოწესრიგებისთვის. ეს ნორმა განიხილავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის დამატებით წინაპირობად ქმედების ჩამდენი საჯარო მოხელის ბრალეულობას და განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოსთან ერთად მას სოლიდარულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე („თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი“), სინამდვილეში არავითარი კოლიზია არ იქმნება და ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის ანაზღაურებაზე

პასუხისმგებელი სუბიექტი უნდა განისაზღვროს მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ამ საკითხში ძალიან კონკრეტული და მკაფიოა, კერძოდ: სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს (იგულისხმება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები), აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები, თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის რეგულირების შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის ნორმები მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენონ, თუკი შესაბამისი საკითხი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არ რეგულირდება

შესრულებისას მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ხოლო მუნიციპალიტეტის ორგანოს (იგულისხმება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები), აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

ამით კანონმდებელმა გარკვევით დაადგინა, რომ დაზარალებულ პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენება შეუძლია მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო ან მუნიციპალური ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და, ამასთან, არც ინდივიდუალურად და არც სოლიდარულად არ შეიძლება განიხილებოდეს ზიანის მიმყენებელი კონკრეტული საჯარო მოხელის, თანამდებობის პირის/თანამშრომლის პირადი პასუხისმგებლობა დაზარალებულის წინაშე.

რასაკვირველია, ეს წესი მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაშიც, როცა მოპასუხედ მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანო უნდა იქნეს დასახელებული და არა მასთან ერთად კონკრეტული საჯარო მოხელეც, რომლის ქმედებამ მოუტანა ზიანი მოსარჩელეს.

ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით იმპერატიულად, ხაზგასმულად იქნა დადგენილი ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტი – ადმინისტრაციული ორგანო, დაზარალებულს/მოსარჩელეს, ასევე დავის განხილველ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის შესაბამისად არ აქვს უშუალო ზიანის მიმყენებელი საჯარო მოხელის სოლიდარული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების გამოყენების უფლება.

მაგალითად, თუკი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, თბილისის მერიის ან საჯარო რეესტრის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების დროს ჩადენილი არამართლზომიერი ქმედებით, განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ზიანი მიადგა მოქალაქე „ა“-ს, დაზარალებულმა „ა“-მ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის დროს მოპასუხედ უნდა მიუთითოს მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო და არა კონკრეტული ზიანის მომტანი ქმედების განმახორციელებელი თანამშრომელი.

ამის საპირისპიროდ, ვინაიდან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და გა-



მოძიების მწარმოებელი ორგანოების, ასევე პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს მიმართ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება შეზღუდულად ვრცელდება ან საერთოდ არ ვრცელდება (იხ. სზაკ-ის მე-3 მუხლი), დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის და ასევე შესაბამისი სპეციალური კანონმდებლობის მიხედვით; ე. ი. ამ შემთხვევაში დაზარალებული არ იზღუდება სზაკ-ის 208-ე მუხლით და მას შეუძლია შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან ერთად ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად მოთხოვნა კონკრეტული თანამშრომლისგან (მაგ., გამომძიებლისგან, პროკურორისგან) და სასამართლოში მოპასუხედ მითითება.

კანონმდებელმა ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის კიდევ ერთი თავისებურება ისეთი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ შემოგვთავაზა, რომელიც არ არის სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანო და არც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არამედ კერძო სამართლის ისეთი სუბიექტია, რომლის ადმინისტრაციული სამართალსუბიექტობა დელეგირებული საჯარო უფლებამოსილებით არის განპირობებული.

ასეთებია, მაგალითად, კომუნალური სერვისების მიმწოდებელი კომპანიები: სს „თელასი“, შპს „თბილისი ენერჯი“ და ა.შ., რომლებსაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისგან კანონის საფუძველზე დელეგირებული აქვთ თბილისის ტერიტორიაზე ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარების ფაქტების გამოვლენისა და მათზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უფლებამოსილება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს

ნოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე ახორციელებს, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

ამ ნორმის მიხედვით, მაგალითად, თუკი სს „თელასის“ თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს, როცა ის მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, ზიანს მიაყენებს რომელიმე კერძო პირს, დაზარალებულის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე იურიდიული პასუხისმგებლობა დაეკისრება არა სს „თელასს“, არც უშუალოდ ამ თანამშრომელს, არამედ ამ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც აღნიშნული საჯარო უფლებამოსილების სს „თელასზე“ დელეგირება განახორციელა.

რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მსგავს შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების დროს კერძო სამართლის სუბიექტზე საჯარო უფლებამოსილების მადლეგირებულ სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოს აქვს ამ სუბიექტის მიმართ რეგრესული მოთხოვნის წაყენების უფლება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგულაციების განმარტების დროს, გახლავთ ბრალეულობა, როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი წინაპირობა.

ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების ადმინისტრაციულ ორგანოებზე გავრცელება, საჭიროა იმისი ხაზგასმაც, რომ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანი უნდა დაეკისროს არა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი ყველა წინაპირობის არსებობისას (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებუ-

ლია აუნაზღაუროს ზიანი.), არამედ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ცალკეულ შემთხვევაში უნდა დაეკისროს ბრალის გარეშეც.

საჯარო სამართალი იცნობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფა გამოწვეულია კანონიერი ქმედებით. მასში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა, მაგალითად, საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების უფლების შეზღუდვა/ექსპროპრიაცია. მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოს ეკისრება კომპენსაციის გადახდის ვალდებულება მათთვის, ვინც იძულებულია თავისი განსაკუთრებული უფლება და უპირატესობანი საერთო კეთილდღეობისათვის დათმოს.

სწორედ ამგვარად უნდა იქნეს გაგებული სზაკ-ის 209-ე მუხლის შინაარსი: თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია ანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

ამრიგად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად აუცილებელია, ზიანის გამოწვევი ქმედება უკავშირდებოდეს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას, იყოს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (ან არაბრალეული – ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში), მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან და ზიანი ადგებოდეს სხვა პირს. საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესი მოიცავს ამ უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ადმინისტრაციული

ორგანოს, საჯარო მოხელეებისა თუ დელეგირებული უფლებამოსილებით მოქმედი კერძო პირების ქმედებებს.

პირის ქმედების საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებით განხორციელებულ საქმიანობად განხილვისას უნდა შეფასდეს ამ კონკრეტული საქმიანობის პროცესში მისი მიზანი იყო თუ არა სახელისუფლებო საქმიანობის განხორციელება და ამ მიზანსა და ზიანის გამომწვევ ქმედებას შორის არის თუ არა ისეთი მჭიდრო კავშირი, რომ ეს ქმედება სახელისუფლებო საქმიანობის სფეროს მიკუთვნებულად განიხილებოდეს. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ მის ფუნქციაზე, დავალებაზე, რომლის შესრულებასაც კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული საქმიანობა ემსახურება. ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ზიანის გამომწვევი ქმედება გამოიხატებოდეს სხვა პირის მიმართ არსებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევაში. მესამე პირებს, რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივი მოვალეობა ირღვევა, შეიძლება სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიც წარმოადგენდნენ და ამათში მხოლოდ კერძო პირები არ იგულისხმებიან (მაგ., სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში და ა.შ.).

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებულ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის განმარტებას, ამ შემთხვევაში რაიმე განსხვავებული მიდგომა არ გამოიყენება. მართლწინააღმდეგობა გამოიხატება საჯარო მოხელისათვის დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევაში, ხოლო ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც განზრახ ან შეგნებულად, საკუთარი ნებით ან გაუფრთხილებლობით ლახავს კანონით დაცულ ფასეულობებს.

თუკი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა პირისათვის მიყენებული მატერია-

ლური ზიანის შემთხვევაში არსებობს შესაბამისი სამართლებრივი გამოცდილება და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, გაცილებით პრობლემურია ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი სხვა პირისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არაქონებრივი (მორალური) ზიანი ძირითადად წარმოიშობა, როდესაც: ა) ადამიანი სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად სხეულებრივ ან სულიერ ტკივილს განიცდის და ბ) ხელყოფილია ადამიანის პიროვნული (პირადი არაქონებრივი) უფლებები.

ვინაიდან არაქონებრივი (მორალური) ზიანის შემთხვევაში შეუძლებელია მიყენებული ზარალის ფულადი სახით ობიექტურად გამოსახვა, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის შესანარჩუნებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი ადგენს გარკვეულ საზღვრებს და მოთხოვნის უფლებას გამონაკლისის სახით უშვებს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისთვის: 1. არაქონებრივი ზიანის გამო ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით; 2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია ანაზღაურება მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის გამოც.

თუკი მოხმობილ ნორმებს ვრცლად განვმარტავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილში მითითებულ „კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“ არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმატიული აქტები: არაქონებრივი ზიანისათვის ფულად ანაზღაურებას შეიძლება ადგენდეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც, უფრო მეტიც, — თვით საკონსტიტუციო ნორმა.

მაგალითად, ამ თვალსაზრისით შეიძლება ვახსენოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის ახალი რედაქცია, რომლის პირველი ნაწილით დადგინდა, რომ ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება. როგორც ამის შესახებ ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ამავე მუხლის მე-4 ნაწილით ყველასთვის გარანტირებულად გამოცხადდა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონო

ვინაიდან გოგადი ადმინისტრაციული კოდექსით იმპერატიულად, ხაზგასმულად იქნა დადგენილი ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტი – ადმინისტრაციული ორგანო, დაზარალებულს/მოსარჩელეს, ასევე დავის განმხილველ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის შესაბამისად არ აქვს უშუალო ზიანის მიყენებალი საჯარო მოხელის სოლიდარული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების გამოყენების უფლება

ნოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება შესაბამისი სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისგან.

აქედან გამომდინარე, ერთი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება, საქართველოს კონსტიტუციის მე-18

მუხლით, კონსტიტუციური რანგის უფლებად ჩამოყალიბდა, და, მეორე, ამავე მუხლით დადგინდა სახელმწიფო ორგანოების მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულება.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის მითითებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებაზე, მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება ისევე განიმარტოს, როგორც უკანონო თავისუფლების აღკვეთის ან პატიმრობის შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკით დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს კი დაეკისროს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

თუ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდი შეუსაბამოდ და უსაფუძვლოდ გაჭიანურდება, რაც, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია ადმინისტრაციული ორგანოების უმეტესობაში, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს მატერიალურ ზიანთან ერთად შეიძლება მიადგეს არაქონებრივი (მორალური) ზიანიც, რომელიც თავს იჩენს გადაწყვეტილების უსაფუძვლო და არაგონივრული დაყოვნებით გამოწვეულ უარყოფით განცდებსა და ფსიქოლოგიურ/ სულიერ ტანჯვაში.

რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნება, თუ კანონმდებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებასა და წესს შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრავს, თუმცა ვფიქრობთ, რომ ზემოთ მითითებული ნორმების საფუძველზე სასამართლოს დღესვე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული ორგანოსთვის არაქონებრივი ზიანის დაკისრების თაობაზე, რაც ერთ-ერთი ეფექტური საშუალება გახდება მზარდი ბიუროკრატიის შესაჩერებლად თუ თავიდან ასაცილებლად.



ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო ნაკრები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდი, რომელიც ფეხბურთის მოყვარული ადვოკატებისგან შედგება, 2018 წელს ჩამოყალიბდა. საფეხბურთო გუნდი პირველად 2018 წლის სექტემბერში შეიკრიბა და მზა-

დება საერთაშორისო დონის შეხვედრისთვის დაიწყო. ადვოკატთა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი 2018 წლის ოქტომბერში უკრაინაში, კიევიში, გაიმართა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახლად შექმნილმა გუნდმა ტურნირში მეხუთე ადგილი დაიკავა და

ორგანიზატორებისა და მასპინძლების მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

პირველი საერთაშორისო მატჩის შემდეგ ასოციაციის მხარდაჭერითა და მოყვარულ ფეხბურთელ ადვოკატთა დიდი აქტიურობის შედეგად ადვოკატთა ასოციაციის გუნდი განვითარების მორიგ ეტაპზე გადავიდა, კერძოდ, კონკურსის საფუძველზე შეარჩიეს მოყვარული ფეხბურთელი ადვოკატები და ასოციაციის ნაკრებიც შეიქმნა. ნაკრები შეუდგა ინტენსიურ შეხვედრებს, ვარჯიშსა და მზადებას მორიგი ტურნირებისთვის. ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელი თენგიზ სულაქველიძე.

2019 წელს ადვოკატთა ასოციაციის ნაკრები გამოვიდა ბაქოში (აზერბაიჯანში) გამართულ ადვოკატთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უპრეცედენტო რაოდენობის ადვოკატთა საფეხბურთო გუნდები მონაწილეობდნენ. ეს ტურნირიც არანაკლებ

წარმატებული აღმოჩნდა ქართველი ადვოკატი ფეხბურთელებისთვის – ასოციაციის ნაკრებმა 16 გუნდს შორის მე-7 ადგილი დაიკავა და მონაწილეთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

2021 წელს ასოციაციის მხარდაჭერით ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდი პირველად ჩაერთო თბილისის მერიის ინიციატივითა და ორგანიზებით გამართულ მოყვარულ ფეხბურთელთა ჩემპიონატში – თბილისის „მასტერ ლიგაში“, რომელიც აპრილ-ნოემბერში მიმდინარეობდა. ნაკრებმა რანგით მესამე დივიზიონში (რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობდა) წარმატებით იასპარეზა და მეორე დივიზიონში გადასვლა დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ მესამე დივიზიონიდან მეორეში მხოლოდ 2 გუნდი გადავიდა. სწორედ მეორე ლიგაში იასპარეზებს ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდი „მასტერ ლიგის“ მორიგ ჩემპიონატში, რომელიც 2022 წლის აპრილში დაიწყება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა საფეხბურთო ნაკრებმა არაერთი მიწვევა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, მათ შორის ადვოკატთა მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატშიც, რომელიც მაროკოში, ქ. მარაკეში, 2022 წლის მაისში გაიმართება და მასში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ადვოკატთა საფეხბურთო გუნდები იასპარეზებენ.

გიორგი ჭეხანი, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

მიწვევა ადვოკატთა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში, რომელიც წელს მარაკეში გაიმართება, ქართული ადვოკატურისა და ჩვენი საფეხბურთო ნაკრების კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა და საპასუხისმგებლოცაა და საპატიოც. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და მისმა საფეხბურთო გუნდმა უკვე არაერთხელ იასპარეზა წარმატებით



სხვადასხვა ტურნირში. ახლა მნიშვნელოვანია, შევძლოთ რესურსების მობილიზება, რომ ჩვენს გუნდს ადვოკატთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს. მე დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატში ჩვენი გუნდის ნაკრები ქართულ ადვოკატურასა და ჩვენს ქვეყანას ღირსეულად წარადგენს.

თენგიზ სულაქველიძე, ნაკრების მწვრთნელი

შარშან ნაყოფიერი წელი გვქონდა, საკმაოდ კარგად ვითამაშეთ „მასტერ ლიგა“ და კმაყოფილი ვარ, რადგან თვალსაჩინოა, როგორ მიიწვევენ წინ ბიჭები. შემოძლია თამამად გითხრათ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თამაშებში მონაწილეობის საშუალება მიეცა გუნდის ყველა იმ წევრს, რომელთაც ამისი სურვილი ჰქონდათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელები, მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, სერიოზულად უდგებიან ვარჯიშს.

მადლობა მინდა გადაუხადო ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელებს დავით ასათიანსა და გიორგი ჭეხანს, რადგან მათ შესაბამისი პირობები შეუქმნეს ასოციაციის გუნდს, სწორედ ისეთი, როგორც ტოპგუნდებს შეეფერებათ.

ამ ეტაპზე საერთაშორისო ტურნირისთვის ვემზადებით. კონკურსიც უკვე გამოცხადებულია. მიმდინარეობს გუნდის წევრთა გადახალისება და ახალი წევრების მიღება, რაც კონკურენციასა და ხარისხს აამაღლებს, და, ცხადია, აუცილებელი პირობაა კიდევ უფრო დიდი წარმატების მისაღწევად.

იმედი გვაქვს, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა საკმაოდ დიდ წარმატებას მოგვითმავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ჩემპიონატებზე.

გიგი მუმლაძე, გუნდის კაპიტანი

ეს იყო ნამდვილად თავდაუზოგავი შრომის შედეგი. პანდემიის პირობებში ჩვენ მოვახერხეთ პროფესიული საქმიანობის პარალელურად ინტენსიური ვარჯიშითა და მონდომებით მაღალი შეფასება დაგვემსახურებინა მონაწილეობის პირველივე წელს. ამჟამად ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერითა და გუნდის მწვრთნელის ზედამხედველობით აქტიურად ვვარჯიშობთ და ვემზადებით „მასტერ ლიგის“ ჩემპიონატისთვის. წელს უკვე ახალ ლიგაში დავჩინაურდით და საკმაოდ ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს თამაში.



სოციალურ ქსელში სიძულვილის ენის სამართლებრივი რეგულირება: არსებული მდგომარეობა და სირთულეები

ავტორი მარიამ კუბლაშვილი
2017 წლიდან შპს „მარიამ კუბლაშვილის საადვოკატო ოფისის“ დამფუძნებელი და დირექტორი; 2017 წლიდან ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი

რა არის სიძულვილის ენა?

საერთაშორისო ხელშეკრულებებითა თუ საქართველოს კანონმდებლობით სიძულვილის ენის ზუსტი განმარტება არ არსებობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2019 წლის მაისში მიღებული სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგიისა და გეგმის ამსახველი დოკუმენტის მიხედვით, სიძულვილის ენა განიშარტება როგორც ვერბალური, წერიტი ან ქცევითი გამოხატულება, რომლითაც ხორციელდება თავდასხმა ან გამოიყენება დამამცირებელი, დისკრიმინაციული ენა პირის ან პირთა წრის მიმართ მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რასის, კანის ფერის, გენდერის ან იდენტობასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორის გამო.

სიძულვილის ენას ხშირად აიგივებენ ყველა ტიპის ნეგატიურ გამონათქვამებთან. შეურაცხყოფელი, ცილისმწამებლური თუ დისკრედიტაციისთვის მომზადებული მასალა სიძულვილის ენად აღიქმება. სინამდვილეში მათ შორის დიდი განსხვავებაა. რადგან ყოველ ქვეყანას სხვადასხვანაირი უნიკალური კონტექსტი აქვს, რთულია განსაზღვრო, თუ რა არის სიძულვილის ენა, რომელი ტერმინები, ფრაზები და გამონათქვამები ამწვავებს ნეგატიურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პირის მიმართ.

სიძულვილის ენა მეტია, ვიდრე უხეშობა. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი გა-

მოხატულება შეურაცხყოფისა და დამცირებისა ან წაქეზება სიძულვილისა ადამიანთა ჯგუფის ან ფენის მიმართ. სიძულვილის ენა შეიძლება გამოიხატოს სიტყვით, სიმბოლოთი, გამოსახულებით ანდა ვიდეოთი. სიძულვილის ენას ზიანი მოაქვს როგორც ცალკეული პირებისათვის, ისე პირთა ჯგუფებისა და საზოგადოებისათვის. არაერთი კვლევა მოწმობს, რომ სიძულვილის ენა იწვევს უარყოფით ემოციურ, მენტალურ და ფიზიკურ შედეგებს. შედეგები მოიცავს დაბალ თვითშეფასებას, შფოთვის, შიშს, მათ შორის საკუთარი

სიცოცხლის დაკარგვის შიშს, თვითდაზიანებას და თვითმკვლელობასაც კი.

ამასთან უნდა ითქვას, რომ სიძულვილის ენა საკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებასა და თავად ამ საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს. გამოხატვის თავისუფლება კი აღიარებულია ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტით, რომლებიც ადამიანის

სიძულვილის ენა მეტია, ვიდრე უხეშობა. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი გამოხატულება შეურაცხყოფისა და დამცირებისა ან ნაქეზება სიძულვილისა ადამიანთა ჯგუფის ან ფენის მიმართ



უფლებებს ეხება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებით და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

კანონში ასახულია გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ტერმინი, მინიშნებულია ისიც, რომ „კანონის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.“ ამასთან ერთად მითითებულ კანონში არ არის აღნიშნული, რას ნიშნავს სიძულვილის ენა ან რამდენად არის ის გამოხატვის თავისუფლების ნაწილი. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონის მიერ დამკვიდრებული სტანდარტი შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ პრაქტიკას და უფრო ახლოს ე.წ. ამერიკულ მოდელთან დგას.

საერთაშორისო სამართლის ნორმები, ისევე როგორც საქართველოს კანონმ-

დებლობა, კრძალავს დისკრიმინაციის, მტრობის გაღვივებისა და ძალადობის წაქეზებას, მაგრამ ნაკლებად – სიძულვილის ენის გამოყენებას. ბუნებრივია, წაქეზება გამოხატვის ძალიან საშიში ფორმაა, ვინაიდან ის ამკარად და შეგნებულად დისკრიმინაციის, მტრობის და ძალადობის გაღვივებისათვის არის გამიზნული და ასევე შეიძლება აღმოჩნდეს ტერორიზმის ან სასტიკი დანაშაულის ბიძგის მიმცემი. როგორც წესი, სიძულვილის ენა არ აღწევს წა-

**სიძულვილის ენა
საკმაოდ გჭირდება
არის დაკავშირებული
გამოხატვის
თავისუფლებასთან,
რომელიც, თავის
მხრივ, დემოკრატიული
საზოგადოების ერთ-
ერთ უმნიშვნელოვანეს
ღირებულებასა და
თავად ამ საზოგადოების
საფუძვლს წარმოადგენს**

ქვების ზღვარს და საერთაშორისო კანონმდებლობა არ ავალდებულებს სახელმწიფოებს მის აკრძალვას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ მოცემულობაშიც კი, როდესაც მისი გამოყენება არ არის აკრძალული, სიძულვილის ენა შეიძლება იყოს და არის კიდევ ზიანის მომტანი.

საქართველოში, მაგალითად სსკ-ის 239 პრიმა მუხლის შესაბამისად, დანაშაულად ითვლება რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირი, წერილობითი ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების ამკარა, პირდაპირ და არსებით საფ-

რთხეს. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელს გაუვლელი აქვს ზღვარი გამოხატვის იმგვარ ინტენსივობასთან, რომელიც ქმნის ძალადობრივი ქმედების ამკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. ბუნებრივია, ასეთი გამოხატვები შეიძლება უკავშირდებოდეს და მოიცავდეს კიდევ სიძულვილის ენას, მაგრამ, თუ ის დიდი საფრთხის შემცველი არ იქნება შედეგის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებითაა, დანაშაულად არ ჩაითვლება.

სიძულვილის ენას გარკვეულწილად არეგულირებს საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმფხვრის შესახებ“. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პრიმა ნაწილის შესაბამისად, „შევიწროება არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“. ამგვარი დისკრიმინაციული ქმედების გამოვლენისას ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია სწრაფად და ეფექტურად იმოქმედოს და ამგვარი ფაქტის დადასტურებისას, საქართველოს კანონმდებლობისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეულწილად მოცემულია რეგულაციები, როდესაც დამრღვევი არასასურველად იქცევა, რასაც შედეგად მოსდევს შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა, თუმცა მის

აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ორგანიზაციას, რომელშიც ეს დარღვევა მოხდა. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ სიძულვილის ენაზე სოციალური ქსელების კუთხით, სამწუხაროდ, ეს მექანიზმი ვერ იქნება ქმედითი, ვინაიდან საქართველოში გავრცელებული და პოპულარობის მქონე თითქმის ყველა სოციალური ქსელი უცხოურ კორპორაციებს ეკუთვნის, რომლებზეც, ბუნებრივია, არ ვრცელდება საქართველოში მოქმედი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა.

ინტერნეტმა, რომელმაც ადამიანებს მთელ მსოფლიოში საშუალება მისცა მყისიერად დაემყარებინათ ერთმანეთთან კონტაქტი, რეგულაცია მოახდინა კომუნიკაციის ფორმასა და ერთმანეთთან ინფორმაციის გაზიარებაში. უამრავ სფეროში მოახდინა ინტერნეტმა დადებითი გავლენა საზოგადოებაზე, მაგალითად: ის ხელს უწყობს კომუნიკაციის აღვილად განხორციელებას, ერთმანეთისათვის ცოდნის გაზიარებას. მაგრამ ზიანის მიყენებასაც შეუწყობს ხელი. ფართო მასასთან კომუნიკაციის შესაძლებლობა ნიშნავს, რომ შეიცვალა თითოეული ჩვენგანის ჩართულობა პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ერთმანეთთან ურთიერთობაშიც. სიძულვილის შემცველმა შეტყობინებებმა და ძალადობის წაქეზებამ სოციალურ მედიაში იმატა, რადგან ამისი შესაძლებლობა ადრე არც არსებობდა.

ინტერნეტში უამრავი სხვადასხვა შინაარსის მასალაა. სიძულვილის ენას წააწყდებით სხვადასხვა ონლაინპლატფორმასა და ფორუმზე და, მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენის გამოყენება იკრძალება, მაინც საკმაოდ ხშირად შეგხვდებათ ისეთ პოპულარულ პლატფორმებზე, როგორებიცაა Facebook და Twitter. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანიები კრძალავენ და ცდილობენ, ამოიღონ სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებები და გამოხატვები, ამას ყოველთვის ვერ აღწევენ. ამისი მიზეზი ზოგჯერ ის არის, რომ მომხმარებლები პოსტის

შინაარსს არ ასაჩივრებენ; კომპანიების პროგრამული უზრუნველყოფა კი ვერ ახერხებს ასეთი შინაარსის შემცველი შეტყობინებების იდენტიფიცირებას; ზოგჯერ საჭევო შინაარსის გამოხატვები ვერც კარგად საუბრის შემადგენელი ნაწილია ან დახურულ ჯგუფებშია მოქცეული, რომლებიც თვით კომპანიის მოდერატორებისთვისაც კი ლიმიტირებულია; ზოგ შემთხვევაში გასაჩივრებული შეტყობინების შინაარსი არ აღწევს იმ ზღვარს, რომელსაც კომპა-

**სიძულვილის ენას
გარკვეულწილად
არაგულირებს
საპარტეზლოს კანონი
„დისკრიმინაციის ყველა
ფორმის აღმფხვრის
შესახებ“. ამ კანონის
მე-2 მუხლის მე-3 პრიმა
ნაწილის შესაბამისად,
„შევიწროება არის
ნებისმიერი ნიშნით
პირის დევნა, იძულება
ან/და პირის მიმართ
არასასურველი ქცევა,
რომელიც მიზნად
ისახავს ან იწვევს პირის
ღირსების შელახვას და
მისთვის დამამინებელი,
მტრული, დამამცირებელი,
ღირსების შემლახველი
ან შეურაცხმყოფელი
გარემოს შექმნას“**

ნიები ასაკრძალავად თვლიან; ზოგჯერ თავად მოდერატორებმა არ იციან კომპანიის მიერ დამკვიდრებული წესები, რის გამოც მცდარ გადაწყვეტილებებს იღებენ და მართალია, საზოგადოების დიდი ნაწილი კრიტიკულადაა განწყობილი სიძულვილის ენის მიმართ პოპულარულ ონლაინპლატფორმებზე, მაგრამ ახალგაზრდა თაობის მნიშე-

ნელოვანი ნაწილი ახალ ონლაინსივრცეში ინაცვლებს, განსაკუთრებით იმ სივრცეში, რომელიც ონლაინთამაშებთან, სტრიმინგსა და გამოსახულებათა გაზიარების პლატფორმებთან არის დაკავშირებული.

რატომ არის სიძულვილის ენა ასეთ პლატფორმებზე?

- ყოველ წუთს მილიონობით პოსტი იქმნება და გაზიარდება სოციალური მედიის მეშვეობით. ონლაინშინაარსის სფერო და მასშტაბი უზარმაზარია და ადამიანები, რომლებიც მოდერირებენ ამგვარ პოსტებს, უბრალოდ, ვერ ახერხებენ, რომ ყოველ მათგანს გასწვდნენ. პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ასეთი გამოხატვების ავტომატურად მიგნებას, ვერ ახალია და ახასიათებს კონტექსტის არასრული გაგება იმის განსახსნავად, თუ რა არის სიძულვილის ენა.

ონლაინსივრცეში ძალადობრივი და ზიანის მომტანი გამოხატვების ზრდის ფაქტორის გამო ზევრ ქვეყანაში ისმება კითხვა: უნდა იქნეს თუ არა შემოღებული გამოხატვის შეზღუდვა ონლაინსივრცეში და, თუ კი, როგორ მოხერხდება ამგვარი გამოხატვების რეგულირება?

ზიანის მომტანი გამოხატვების რეგულირება ონლაინსივრცეში საჭიროებს მკაფიო ზღვრის გაღვლებას გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის. გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა და საერთაშორისო სამართლის ნორმებითაც არის დაცული. ერთ-ერთი საფრთხე კი, რომელსაც ონლაინსივრცეში სიძულვილის ენის რეგულირება პოტენციურად შეიცავს, ის არის, რომ შეიძლება ავტორიტარული რეჟიმების მიერ ადამიანის უფლებების დამატებითი შეზღუდვის წინაპირობად იქცეს.

რამდენადაც ვაფასებთ სიტყვის თავისუფლებას, იმდენადვე აუცილებელია

კარგად გავიზაროთ, რატომ უნდა ავ-კრძალოთ სიძულვილის ენა. პირველი და ყველაზე გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ამგვარი გამონათქვამები რეალურ ზიანს იმათ აყენებს, ვინც მიზანში ჰყავთ ამოღებული. როგორც აღინიშნა, ძალადობის წაქეზება, რომლის სამიზნეები არიან, მაგალითად, ცალკეული პირები რელიგიის, გენდერის ან სექსუალური იდენტობის ნიშნით, კრიმინალიზებულია და დანაშაულად ითვლება. ბევრი ქვეყანა ასევე თანხმდება, რომ სიძულვილის ენა, რომელიც ადამიანთა ჯგუფს მიემართება, ასაკრძალია, ვინაიდან ამგვარი გამოხატულება ძირს უთხრის მათ მდგომარეობას, იყენენ საზოგადოების სრულფასოვანი, თანასწორი და თავისუფალი წევრები.

სიძულვილის ენის ონლაინრეგულირება მოქმედი რეგულაციების მნიშვნელოვან ცვლილებას საჭიროებს. რეგულაციების მიღებამდე კი საჭიროა დავრწმუნდეთ იმაში, რომ სოციალური მედიის პლატფორმების თვითნებურმა შეზღუდვამ გაუმართლებელი გავლენა არ მოახდინოს სიტყვის თავისუფლებაზე. პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აუცილებელია ახალი საკანონმდებლო ინიციატივის ხშირი მონიტორინგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის მიხედვით, რათა დადგინდეს ზუსტი ბალანსი სიტყვის თავისუფლების დაცვასა და სიძულვილის ენის აკრძალვას შორის. ასეთი მონიტორინგის განსახორციელებლად კი სოციალური მედიის კომპანიებმა გამჭვირვალობა უნდა გვიჩვენონ იმ გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი შლიან, რათა საჯარო მკვლევართა მიერ მოპოვებული მონაცემების შესწავლა ფართო საზოგადოებისთვის გახდეს მისაწვდომი.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2021 წლის 02 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ფეისბუქის მომხმარებელი პასუხისმგებელია თავის გვერდზე დატოვებული სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებზე.

ევროპული სასამართლო დაეთანხმა ევროპული სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც სოციალური ქსელების მომხმარებელს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მის გვერდზე სხვა ადამიანების მიერ დატოვებულ კომენტარებზე.


ეს გადაწყვეტილება მომდინარეობს საქმიდან „სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ“.

კომპანიების პროგრამული უზრუნველყოფა კი ვერ ახერხებს ასეთი შინაარსის შემცველი შეტყობინებების იდენტიფიცირებას; გობგამრ საეჭვო შინაარსის გამონათქვამები კერძო საუბრის შემადგენელი ნაწილია ან დახურულ ჯგუფებშია მოქცეული, რომლებიც თვით კომპანიის მოდერატორებისთვისაც კი ლიმიტირებულია; გოგ შემთხვევაში გასაჩივრებული შეტყობინების შინაარსი არ აღწევს იმ გზვარს, რომელსაც კომპანიები ასაკრძალავად თვლიან

2011 წელს ფილიპინების სანჩესმა, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბოკერის მერი იყო და კენჭს იყრიდა ულტრამემარჯვენე პარტია „ევროპული ფრონტის“ სახელით, ფეისბუქზე გამოაქვეყნა ჩანაწერი, რომელიც მის პოლიტიკურ ოპონენტს ეხებოდა. ამ ჩანაწერზე კომენტარი სანჩესის არაერთმა გულშემოტივარმა დაწერა. ზოგიერთი კომენტარი ქალაქის მუსლიმი მცხოვრებლებისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა და 2013 წელს ამ კომენტარე-

ბის გამო სანჩესსა და კომენტარების ავტორებს ეთნიკურ, რელიგიურსა და რასობრივ ნიადაგზე კონფლიქტის გაღვივებაში დასდეს ბრალი. სასამართლომ ისინი სამართალდამრღვევებად ცნო და ჯარიმის სახით 4 000 ევროს გადახდა დააკისრა. ევროპულ სასამართლოებში გასაჩივრების შემდეგ სანჩესმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა და განაცხადა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება დაირღვა. საქმის განხილვა 2015 წელს დაიწყო. საბოლოოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეთანხმა ევროპული სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და დაადგინა, რომ სანჩესი პასუხისმგებელია სხვა ადამიანების მიერ დატოვებულ ჩანაწერებზე, რადგან მან სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები ექვსი თვის განმავლობაში არ წაშალა საკუთარი გვერდიდან და რადგან ხელმისაწვდომი იყო ფართო აუდიტორიისთვის – „მოსარჩელემ შეგნებულად გახადა საკუთარი გვერდი ყველასთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ის პასუხისმგებელი იყო თავის გვერდზე გამოქვეყნებული ჩანაწერების მონიტორინგზე. და კიდევ, როგორც სასამართლომ გაუსვა ამას ხაზი, სანჩესს არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდა, რომ მისი გვერდი მიიზიდავდა პოლიტიკური და პოლემიკური ხასიათის კომენტარებს. ამრიგად, მას მეტი ყურადღებით უნდა განეხორციელებინა ამ კომენტარების მეთვალყურეობა, სააპელაციო სასამართლომ კი აღნიშნა, რომ სანჩესს პოლიტიკური ფიგურის სტატუსი ავალდებულებდა, მეტი სიფრთხილე გამოეჩინა“, – წერია სასამართლოს დადგენილებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება უაღრესად დიდი, პრეცედენტული მნიშვნელობის მქონეა, ვინაიდან დაარეგულირა და მომხმარებელს დააკისრა სოციალური ქსელით სარგებლობის დროს სიძულვილის ენის შემცველი, თუნდაც სხვა მომხმარებლის მიერ დაწერილი, კომენტარის წაშლის ვალდებულება, თუ ეს კომენტარი მომხმარებლის გზავნილს მოჰყვა, ე.ი. მასთანაა დაკავშირებული.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელმა მოვლენებმა, როგორცაა რუსეთის შეჭრა უკრაინაში, საკუთარი გავლენა მოახდინა კომპანია „მეტა“-ს წესებზე, რომელსაც, თავის მხრივ ეკუთვნის „ფეისბუქი“ და „ინსტაგრამი“. კომპანიის გადაწყვეტილებით, 2022 წლის 10 მარტიდან, დროებით, დასაშვები გახდა რუსი დამპყრობლებისადმი ძალადობრივი მოწოდებები ცალკეულ ქვეყნებში, კერძოდ - სომხეთში, აზერბაიჯანში, ესტონეთში, უნგრეთში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთში, სლოვაკეთში, უკრაინასა და საქართველოში. მაგალითად, დასაშვებია იმგვარი პოსტები, რომლებიც შეიცავენ სიკვდილის მოწოდებას რუსი დამპყრობლებისადმი, ასევე ვლადიმერ პუტინის ან ალექსანდრ ლუკაშენკო სიკვდილისაკენ მოწოდებები. ამავდროულად, კვლავაც დაუშვებელია მსგავსი შინაარსის პოსტები რუსეთის მოქალაქეებისადმი, რომელთაც არ აქვთ კავშირი მიმდინარე ომთან.

ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ სიძულვილისა და ძალადობის მოწოდებისაკენ მიმართული გამონათქვამების რეგულირება სოციალური მედიაში ჯერ კიდევ ექვემდებარება განვითარებას, დახვეწას და შორსა-სრულყოფილებისაგან. ეს არის დინამური პროცესი, რომელზეც გავლენას ახდენს მთელი რიგი, მათ შორის გლობალური მოვლენები და როგორც ჩანს, არაერთი ცვლილებას განიცდის მომავალში.

ამრიგად, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ არა მხოლოდ გამოქვეყნებული გზავნილის შინაარსს, არამედ სხვა მომხმარებლების მიერ გზავნილზე გაზიარებულ აზრსა და გაკეთებულ კომენტარს, რათა თუნდაც უნებლიეთ ხელი არ შევეწყოთ სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების გავრცელებას, რომ არ აღმოვიჩნდეთ კანონდამრღვენი.



12 ოქტომბერს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ კუნძულ სან-სალვადორის აღმოჩენისა და სახელდების ფაქტი დაადასტურა, რაც საფუძვლად დაედო აღმოჩენილი მიწის ესპანეთის სამეფოს საკუთრებად გამოცხადებას.

ფაქტების დადგენა ნოტარიუსის პირდაპირი პროფესიული მოვალეობაა. სანოტარო მოქმედების შესრულებისას მას მუდმივად საქმე აქვს სხვადასხვა ფაქტთან და უწევს მათი ნამდვილობის შემოწმება. სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობისა თუ ქმედუნარიანობის დადგენა, საკუთრების უფლების შემოწმება, გარიგების საგანზე სამართლებრივი დატვირთვის არსებობა-არარსებობის დადგენა – ყოველივე ეს ის

რივი უფლებამოსილება, დაადასტუროს პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები და იურიდიული ფაქტები. შესაბამისად, პროფესიულ მოვალეობათა აღსრულებისას ნოტარიუსი სახელმწიფოს წარმოადგენს. ის „პროფესიონალი მოწმე“, რომლის სანდოობა სხვადასხვა საკანონმდებლო გარანტიით არის უზრუნველყოფილი, ესენია: ნოტარიუსის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პროფესიასთან დაშვების სპეციალური წესი და მინიმალური კომპეტენცია, კონფიდენციალურობა, პირადი პასუხისმგებლობა, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა და სხვ. ყოველივე აღნიშნული განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ნოტარიუსის „ჩვენებას“, რომელიც მის მიერ შედგენილი სანოტარო აქტით

ნოტარიატზე სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებულია საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება, დაადასტუროს პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები და იურიდიული ფაქტები. შესაბამისად, პროფესიულ მოვალეობათა აღსრულებისას ნოტარიუსი სახელმწიფოს წარმოადგენს. ის „პროფესიონალი მოწმე“, რომლის სანდოობა სხვადასხვა საკანონმდებლო გარანტიით არის უზრუნველყოფილი, ესენია: ნოტარიუსის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პროფესიასთან დაშვების სპეციალური წესი და მინიმალური კომპეტენცია, კონფიდენციალურობა, პირადი პასუხისმგებლობა, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა და სხვა



ნოტარიუსის მიერ ფაქტების ნამდვილობის დამოწმება და მისი სამართლებრივი შედეგები

ავტორი დავით ოყროშიძე
ნოტარიუსი ქ. თბილისში
ოყროშიძისა და მერგელის სანოტარო ბიურო
ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის გენერალური საბჭოს საპატიო წევრი

ნოტარიუსი უფლებამოსილია, დაამოწმოს ფაქტები. საუბარია ფაქტებზე, რომელთაც იურიდიული შედეგი მოსდევს. ფაქტების დამოწმება საუკუნეების განმავლობაში ნოტარიუსის ტრადიციული ფუნქციაა. ნოტარიუსები თითქმის ყოველთვის ახლდნენ ესპანელსა თუ პორტუგალიელ ზღვაოსნებს მოგზაურობებში. ისტორიას ახსოვს სახელი ესპანელი ნოტარიუსისა – როდრიგო დე ესკობედო (*Rodrigo de Escobedo*), რომელმაც 1492 წლის

ფაქტებია, რომლებთანაც ნოტარიუსი უშუალოდ არის დაკავშირებული, თუმცა, როგორც წესი, მათი დადგენა სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების პროცედურული ნაწილია და დამოუკიდებელ სანოტარო მოქმედებებს არ წარმოადგენს. ნოტარიუსის მიერ ფაქტის ნამდვილობის დამოწმება, როგორც დამოუკიდებელი სანოტარო მოქმედება, ჩვენი სტატიის განხილვის საგანია.

ნოტარიატზე სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებულია საჯარო-სამართლებ-

არის გადმოცემული, სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტები უდავო მტკიცებულებითი ძალით სარგებლობს.

ჩვენს ქვეყანაში ნოტარიუსის მიერ ფაქტების დამოწმება ნოტარიუსის მიერ მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „ნოტარიატის შესახებ“ და მის საფუძველზე არსებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციით“. ნოტარიუს-

სის მიერ ფაქტების დამოწმება მსგავსია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ფაქტების კონსტატაციის მომსახურებისა, რომელიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 9113-9118-ე მუხლებით არის გათვალისწინებული.

ნოტარიუსი უფლებამოსილია დაამოწმოს ფაქტი, თუ იგი უშუალოდ ესწრებოდა ამ ფაქტის დადგომას ან უშუალოდ აღიქვამს უკვე დამდგარ ფაქტს. მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ტექნიკური ცოდნა დასადასტურებელი ფაქტის ნამდვილობის შესამოწმებლად და თავი უნდა შეიკავოს ისეთი ფაქტების დამოწმებისაგან, რომელთა შემოწმებაც განსაკუთრებულ ტექნიკურ ცოდნას ან სპეციალურ კვალიფიკაციას საჭიროებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტის დამოწმება ნოტარიუსის მიერ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას გულისხმობს. მას არ აქვს უფლება ფაქტის დამოწმებისას შეეხოს ამ ფაქტის გამოწვევ მიზეზებს ან გამოთქვას ვარაუდი მათი დადგომის საფუძვლების შესახებ. მიზეზის კვლევა შესაბამისი ცოდნით ალჭურვილი სპეციალისტის ან ექსპერტის კომპეტენციაა.

„ნოტარიატის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლით, როგორც გამოხატვის, ფაქტის დამოწმებისას დასადასტურებელი ფაქტის შინაარსის შესაძლო წინააღმდეგობა საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობის ნორმებთან არ წარმოადგენს სანოტარო მოქმედებაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს. ნოტარიუსი ვალდებულია გამოაკლის შემთხვევებში მაინც დადასტუროს ფაქტი, მიუხედავად ფაქტის ზნეობის ნორმებთან შესაბამისობის მიმართ თავისი სუბიექტური დამოკიდებულებისა. ასეთი გამოაკლისებისა, მაგალითად: ნოტარიუსის მიერ იურიდიული პირების ორგანოების სხდომების ან/და კრების ოქმების შედგენა, როდესაც ნოტარიუსი აღწერს სხდომის მიმდინარეობას და სხდომაზე მოხდარ ფაქტებს, აგრეთვე ინტერნეტსივრცეში ამა თუ იმ ინფორმაციის, ფოტოს (სხვა მსგავსი მასალის) განთავსების ფაქტი.

იურიდიული ფაქტის დამოწმების შესახებ ნოტარიუსი გასცემს მოწმობას, რომელიც საჯარო დოკუმენტს წარმოადგენს, შესაბამისად, მისი შედგენისას ნოტარიუსმა უნდა იხელმძღვანელოს საჯარო აქტის შედგენისა და დამოწმებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი ნორმებით. მოწმობა ფაქტის დამოწმების თაობაზე უნდა შეიცავდეს მოწმობის გაცემის თარიღს, აგრეთვე ზუსტ დროს (საჭიროებისამებრ სანოტარო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დროის მითითებით), როდესაც განხორციელდა ფაქტის დამოწმება, დაინტერესებული პირის (ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან მისი წარმომადგენლის) საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც შესრულდა სანოტარო მოქმედება, აგრეთვე ფიქსირებული ფაქტის ზედმიწევნითი სიზუსტით აღწერას. მოწმობას დაერთება ფაქტის ამსახველი ყველა მასალა (ფოტოსურათები, „სქრინშოტები“ თუ სხვ.).

ნოტარიუსის მიერ გამოცემული მოწმობა იურიდიული ფაქტის დამოწმების შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოიყენოს მტკიცებულებად სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში. იურიდიული ფაქტის დამოწმების შესახებ ნოტარიუსის მოწმობის ერთი ეგზემპლარი ყოველთვის ექვემდებარება არქივირებას სანოტარო ბიუროს არქივში როგორც მატერიალურ მატარებელზე, ასევე ელექტრონული ფორმითაც, რათა დაინტერესებული პირისთვის ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი, მათ შორის მოწმობის დამოწმებული ასლები და დუბლიკატები.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული სანოტარო მოქმედებათა არაამომწურავი ჩამონათვალი ითვალისწინებს ნოტარიუსის მიერ ისეთი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურებას, როგორებიცაა: პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტი, პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნისა, ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან ფიზიკური პირის იგივეობისა, დოკუმენტის წარდგენის ფაქტები და სხვ. გარდა ამისა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ნო-

ტარიუსი უფლებამოსილია დაამოწმოს სხვა ფაქტებიც, თუ იგი უშუალოდ ესწრებოდა მათ დადგომას ან უშუალოდ აღიქვამს უკვე დამდგარ ფაქტს.

ფაქტის დამოწმების სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირდაპირ არის დადგენილი კონკრეტული ფაქტის დამოწმების საზღაური, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ნოტარიუსსა და დაინტერესებულ პირს შორის შეთანხმებით.

მოკლედ მიმოვიხილა ნოტარიუსის მიერ ცალკეული იურიდიული ფაქტის დამოწმების შემთხვევებს:

ფიზიკური პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება

ნოტარიუსი უფლებამოსილია დაადასტუროს ფიზიკური პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტი და ამის თაობაზე გასცეს შესაბამისი მოწმობა. ამისათვის პირი, რომლის ცოცხლად ყოფნის ფაქტიც უნდა დადასტურდეს, თვითონ უნდა წარდგეს ნოტარიუსის წინაშე და მას წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ოღონდ აუცილებელი არ არის სანოტარო მოქმედების შესრულების მოთხოვნის პირი, რომლის ცოცხლად ყოფნის ფაქტიც უნდა დადასტურდეს, თავად იყოს. შესაძლოა ეს პირი იყოს არასრულწლოვანი ან იმყოფებოდეს ქმედუწნარო მდგომარეობაში და მის ცოცხლად ყოფნის დადასტურებას ითხოვდეს სხვა, დაინტერესებული, პირი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი პირის ცოცხლად ყოფნასთან დაკავშირებით ან ნოტარიუსის სათანადო ცოდნა არ არის საკმარისი ცოცხლად ყოფნის ფაქტის დასადასტურებლად, ნოტარიუსი ვალდებულია მოიწვიოს შესაბამისი სამედიცინო განათლების პირი (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ექიმი ან ექსპერტი-სპეციალისტი) და მისი დასკვნის საფუძველზე შეასრულოს სანოტარო მოქმედება.

დოკუმენტის წარდგენის დროს, დოკუმენტის გადაცემის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ ფაქტების დადასტურება

დოკუმენტის წარდგენის დროს დადასტურება არის ნოტარიუსის მიერ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურების ერთ-ერთი სახე. განსაზღვრულ ვითარებაში დაინტერესებულ პირს შესაძლოა დასჭირდეს იმ ფაქტის დამტკიცება, რომ კანონით ან/და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მან რაღაც მოქმედება შეასრულა, დათქმული დოკუმენტი წარადგინა ან/და გადასცა, შეასრულა რაიმე სხვა ვალდებულება, რომელსაც დაინტერესებული პირის კონკრეტული იურიდიული ინტერესი უკავშირდება, მაგალითად, თუ ხელშეკრულებით არის განსაზღვრული მხარის ვალდებულება, ხელშეკრულების მიხედვით შეთანხმებულ ვადაში ან/და დათქმული პირობის დადგომის საფუძველზე ხელი მოაწეროს და კონტრაგენტს გადასცეს რაღაც იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტი, მაშინ დათქმული ვადების დარღვევამ შესაძლოა მოვალისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების დაკისრება გამოიწვიოს. მოცემულ ვითარებაში, თუ კრედიტორი აყოვნებს ან თავს არიდებს დოკუმენტის მიღებას ან, მიუხედავად მოთხოვნისა, მოვალეზე არ გასცემს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, მაშინ მოვალეს შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტი წარუდგინოს (გადასცეს) ნოტარიუსს და მოითხოვოს ამ სახით გადაცემის დროის დადასტურება. შესაძლებელია ნოტარიუსის თანდასწრებითვე განხორციელდეს კრედიტორისათვის ასეთი დოკუმენტის გადაცემა და სანოტარო წესით დოკუმენტის გადაცემის დროის დამოწმება. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს ხელთ ექნება საჯარო დოკუმენტი, რომელიც დავის წარმოშობისას დადასტურებს მის მიერ ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულების ფაქტს.

დოკუმენტის წარდგენის ან გადაცემის ფაქტის დამოწმებისას ნოტარიუსი ასევე წარდგენილი/გადაცემული დოკუმენტის

შინაარსს აღწერს, მათ შორის მიუთითებს დოკუმენტის ყველა თავისებურების შესახებ: გადასწორება, ამოძლეა, დოკუმენტის მთლიანობის ან/და კონტექსტის დარღვევა, თუ დოკუმენტის თავდაპირველ შინაარსში შეტანილი ცვლილების ეჭვი გაჩნდება.

ნოტარიუსმა დოკუმენტები მესამე პირს ადრესატისათვის შეიძლება გადასცეს როგორც ხელში, ასევე საფოსტო გზა-ნით.

დოკუმენტის გადაცემის დადასტურება მოიცავს დაინტერესებული პირისათვის

სწორედ ამიტომ დოკუმენტის მესამე პირისათვის გადასაცემად მიღებისას ნოტარიუსი ვალდებულია ზედმიწევნით ზუსტად დაადგინოს გადასაცემი განცხადებისა თუ დოკუმენტის შინაარსი და დადასტუროს იგი.

ნოტარიუსის კრებებზე დასწრება

ნოტარიუსის ერთ-ერთი საგანგებო და მოთხოვნადი ფუნქცია სხდომათა მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ოქმების შედგენაა.

ნოტარიუსის მიერ გამოცემული მოწმობა იურიდიული ფაქტის დამოწმების შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოიყენოს მტკიცებულებად სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ წარმომადგენელში. იურიდიული ფაქტის დამოწმების შესახებ ნოტარიუსის მოწმობის ერთი ეგზემპლარი ყოველთვის ექვემდებარება არქივირებას სანოტარო ბიუროს არქივში როგორც მატერიალურ მატარებელზე, ასევე ელექტრონული ფორმითაც, რათა დაინტერესებული პირისთვის ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი, მათ შორის მოწმობის დამოწმებული ასლები და დუბლიკატები

ორი მნიშვნელოვანი გარემოების დასტურს:

ა) დოკუმენტი ნამდვილად გადაეცა კონკრეტულად ადრესატს ან გაეგზავნა კონკრეტულ ადრესატს წინასწარ განსაზღვრულ მისამართზე და

ბ) გადაცემული დოკუმენტის შინაარსს.

მართლაც, ამ უკანასკნელის მნიშვნელობა გადაწყვეტია, რადგან ადრესატისათვის დოკუმენტის ჩაბარების ფაქტი შესაძლოა შესაბამისი საფოსტო-საკურიერო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტიდან დასტურდებოდეს, თუმცა იმ ინფორმაციის დადასტურება, თუ რა შეტყობინებას/დოკუმენტს შეიცავდა გზავნილი, ამ წესით შეუძლებელია.

რი, პარტნიორი/აქციონერი, წევრი თუ სხვა დაინტერესებული პირი იმისთვის მოითხოვს, რათა სხდომაზე მომხდარი ფაქტები ან/და მიღებული გადაწყვეტილებები ზუსტად და ობიექტურად აღიწეროს შემდგომი დავის თავიდან არიდების ან მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია ნოტარიუსის დასწრება კრების (სხდომის) ჩაშლის ფაქტის დასადასტურებლად. კრების (სხდომის) ჩაშლის ფაქტის ჯეროვან კონსტატაციას ხშირად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს განმეორებითი კრების ლეგიტიმურობის სამტკიცებლად. კრების (სხდომის) ჩაშლის ოქმის შედგენისას ნოტარიუსი უშუალოდ უნდა იმყოფებოდეს სხდომის მოწვევის ადგილზე სხდომის ჩატარებისათვის დანიშნულ დროს, რათა აღნიშნოს/დაადასტუროს სხდომის ჩატარების ხელშემშლელ გარემოებათა არსებობის ფაქტი (მაგ., საჭირო კვორუმის არარსებობა ან სხდომის ჩაშლა ნებისმიერი სხვა მიზეზით).

სხდომაზე ნოტარიუსის დასწრებისას კრების ოქმი დგება საჯარო აქტის ფორმით და მასში სავალდებულო წესით აღინიშნება კრების (სხდომის) ჩატარების ადგილი და თარიღი, სხდომის დაწყებისა და დასრულების დრო, სხდომის თავმჯდომარის, აგრეთვე ოქმზე ხელმოწერა სხვა პირთა (მათი არსებობისას) საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე ოქმის გაცემის თარიღი.

ოქმის დამოწმებისა და გაცემის თარიღი შესაძლოა არ ემთხვეოდეს კრების (სხდომის) ჩატარების თარიღს, რასაც იწვევს ის გარემოება, რომ, როგორც წესი, ოქმი სხდომის დასრულების შემდეგ დგება და მის შედგენას, დაზუსტებასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს. ოქმის დამოწმება და სანოტარო რეესტრში რეგისტრაცია თავმჯდომარის მიერ მის ხელმოწერისთანავე სრულდება. იმ შემთხვევაში კი, თუ თავმჯდომარე რაიმე მიზეზით უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან უსაფუძვლოდ აჭიანურებს მის ხელმოწე-

რას, ნოტარიუსი უფლებამოსილია, დაამოწმოს ოქმი და შესაბამისი მითითების გათვალისწინებით მხოლოდ საკუთარი ხელმოწერით გაცეცხ. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სანოტარო წესით დამოწმებული ოქმის რეგისტრაციისა და გაცემის თარიღი უმრავლეს შემთხვევაში შესაძლოა არ ემთხვეოდეს კრების (სხდომის) ჩატარების თარიღს.

კრების (სხდომის) ოქმის შინაარსი კრებაზე დამსწრე პირთა მიერ გაკეთებულ განცხადებათა და ნოტარიუსის უშუალო აღქმის შედეგების ერთობლიობაა. ოქმით მკაფიოდ და გარკვევით უნდა ჩანდეს, მასში აღწერილი კონკრეტული ფაქტი თუ განცხადება დამსწრე პირის მიერ არის გაკეთებული თუ ნოტარიუსის უშუალო აღქმის შედეგია. თავმჯდომარე ან კრებაზე დამსწრე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს სხდომაზე მომხდარი ამა თუ იმ ფაქტისა თუ გაკეთებული განცხადების ოქმში შეყვანა. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია აღნიშნული ფაქტი/განცხადება ოქმში შეიყვანოს. აღსანიშნავია, რომ კრების ოქმის შედგენისას ნოტარიუსს ეკრძალება უარი განაცხადოს სხდომაზე მომხდარი ფაქტებისა და განცხადებების ოქმში დაფიქსირებაზე ნებისმიერი მოტივით, მათ შორის იმ საფუძვლითაც კი, რომ დამსწრის მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსი თუ აღწერილი ფაქტი ეწინააღმდეგება ნოტარიუსის უშუალო აღქმის შედეგებს; თუმცა ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი ოქმში შენიშვნის სახით აღნიშნავს თავისი უშუალო, ამ განცხადების საწინააღმდეგო, დაკვირვების შედეგს. მსგავსი სახის შენიშვნები (ნოტარიუსის შენიშვნები) უნდა შევიდეს კრების ოქმის ბოლოს, კრების თავმჯდომარისა და ნოტარიუსის ხელმოწერამდე.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას იძლევა, ხოლო Covid 19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ვითარება სულ უფრო ხშირად აიძულებს მხარეებს – იურიდიული პირის მმართველ ორგანოთა კრებები (სხდომები) ელექტრონული კომუნიკა-

ციის საშუალებების (ვიდეო და სატელეფონო კონფერენციები) გამოყენებით გაიმართოს. ამ სახით ჩატარებულ კრებას შეიძლება დაესწროს ნოტარიუსი, რათა შესაბამისი სხდომის ოქმი შეადგინოს. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით კრების ჩატარების წესი უფრო დეტალურად უნდა მოწესრიგდეს უშუალოდ შესაბამისი ორგანიზაციის (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის) წესდებით, მაგრამ კანონმდებლობა აუცილებლობად მიიჩნევს შემდეგი პირობის არსებობას: პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაცია უნდა იძლეოდეს კრებაში დამსწრე პირისა და ნოტარიუსის ერთდროული პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას (ტელეკონფერენცია). ეს წესი გულისხმობს, რომ კრების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური უზრუნველყოფა შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, რომ კრების მონაწილე ყველა პირსა და ნოტარიუსს ოქმში შეყვანა შესაძლოა ალტერნატივას და კენჭს უყრიან მისაღები გადაწყვეტილების პროექტს. ნოტარიუსი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ კრებაში დამსწრე პირის საშუალება აქვს გაიგონოს ერთმანეთის, აგრეთვე – კრების თავმჯდომარის, ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების სხვა მონაწილის (თარჯიმანი, სპეციალისტი, მოწმე და სხვ.) ნათქვამი. გარდა ამისა, ნოტარიუსს უნდა შეეძლოს კრებაში დამსწრე პირის იდენტიფიცირება (პირადობის დადასტურება) სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-19 მუხლით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა სანოტარო მოქმედების ვიდეო-ფაილის სახით ჩაწერა და ერთი ნეიტრალური მოწმის დასწრება.

იურიდიული პირის რემის-ტრიმეპული მონაცემების შესახებ მონეობის გაცემა

ნოტარიუსი უფლებამოსილია მოწმობები გაცეცხ რემიდენტი იურიდიული პირების არსებობის, ადგილსამყოფლის, დამფუძნებლების, წარმომადგენლის, იურიდიული სტატუსისა და სხვა გარემოებათა შესახებ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების საფუძველზე. პრაქტიკაში ასეთი მოწმობების გაცემაზე მოთხოვნა გვხვდება აგრეთვე საქართველოს იურიდიული პირის შესახებ ინფორმაციის საზღვარგარეთ წარდგენის საჭიროებისას. ნოტარიუსი ამოწმებს იურიდიული პირის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, აგრეთვე – საჭიროებისამებრ სხვა საჯარო მონაცემთა ბაზებში და აღნიშნულ მონაცემებს თავს უყრის შესაბამისი მოწმობაში.

მოწმობა გაცემა აგრეთვე რემიდენტი იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების (Ultimate Beneficial Owner) შესახებაც, რომელიც გამოიყენება კომპანიის AML/CFT მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

აუქციონის შეღებების დამოწმება

ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში იშვიათია ნოტარიუსის დასწრება აუქციონზე და აუქციონის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ოქმის შედგენა, თუმცა სხვა სანოტარო იურიდიულებში ამ სანოტარო მოქმედებას ნოტარიუსი წარმატებით ასრულებს .

აუქციონის ოქმის დასამოწმებლად ნოტარიუსი შეიძლება მიიწვიონ სპეციალური სავაჭრო დაწესებულების ან სპეციალისტის მიერ მოწოდებულ აუქციონზე. სპეციალისტის მიერ აუქციონის ჩატარების წესი სამოქალაქო კოდექსის 302-ე, 3061-3064-ე, 307-ე მუხლებით არის განსაზღვრული და ნოტარიუსი ვალდებულია აუქციონატორის განცხადებები

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას იძლევა, ხოლო Covid 19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ვითარება სულ უფრო ხშირად აიძულებს მხარეებს – იურიდიული პირის მმართველ ორგანოთა კრებები (სხდომები) ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების (ვიდეო და სატელეფონო კონფერენციები) გამოყენებით გაიმართოს. ამ სახით ჩატარებულ კრებას შეიძლება დაეწიოს ნოტარიუსი, რათა შესაბამისი სხდომის ოქმი შეადგინოს

ვითარების კვალდაკვალ სანოტარო პრაქტიკაში სულ უფრო ხშირია დაინტერესებულ პირთაგან ისეთი ფაქტების დამოწმების მოთხოვნა, როგორებიცაა: ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული/გაგზავნილი შეტყობინების ნამდვილობის დამოწმება, ინტერნეტსივრცეში განსაზღვრული ინფორმაციის/მასალების განთავსების ფაქტის დამოწმება, სმს შეტყობინებებისა და სხვადასხვა სოციალური ქსელიდან მიღებულ/გაგზავნილ შეტყობინებათა ნამდვილობისა და შინაარსის დადასტურება, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალების ნამდვილობის დადასტურება.

ინტერნეტში შესაძლოა შეხვდეთ ინტელექტუალური საკუთრების დარღვევის შემთხვევებს, სოციალურ ქსელში – პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობებს. ბევრი სამართლებრივი ურთიერთობა, მათ შორის სახელშეკრულებო, ინტერნეტშია გადანიაცვლებული. ინტერნეტი და სოციალური ქსელი მუდმივად ცვალებადი და დინამიკური გარემოა. მომხმარებლების მიერ მათში განთავსებული ინფორმაცია ყოველწამიერად ახლდება, იცვლება, იშლება. ამგვარი ცვალებადობის გამო ინფორმაცია, რომელიც დროის ამა თუ იმ მონაკვეთში ხელმისაწვდომი იყო, შეიძლება შეიცვალოს ან საერთოდ წაიშალოს. ასეთ შემთხვევაში რთულდება ამ ინფორმაციის არსებობისა და მისი შინაარსის მტკიცება დაინტერესებული პირისთვის, უმეტეს შემთხვევაში კი შეუძლებელიც ხდება.

დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე ნოტარიუსი თავისი უშუალო დაკვირვების შედეგად აღწერს და ადასტურებს ინტერნეტში არსებულ ინფორმაციას, ელექტრონულ ფოსტაზე მიღებულ ან ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებებს, სოციალური ქსელის ან მობილური ტელეფონის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციის კონკრეტულ ფაქტებს, ზედმიწევნითი სიზუსტით გადააქვს ეს ინფორმაცია სანოტარო აქტში და დაურთავს მას ყველა იმ მასალას (ფოტოსურათებს, „სქრინშოტებს“, ამონაბეჭდებს), რომლებიც ფაქტის ნამდვილობას ამტკიცებს.



მემკვიდრეობის განსაკუთრებული წესი დადგენილია იმ შემთხვევისთვის, როცა კანონით ან ანდერძით მემკვიდრე ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრეობის მიღების უფლების განხორციელება ვერ მოასწრო. თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ – ოღონდ სამკვიდროს მიღებამდე – გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია). მემკვიდრის გარდაცვალების გამო სამკვიდროს მიღების უფლების გადასვლას მის მემკვიდრეებზე მემკვიდრეობითი ტრანსმისია ეწოდება. ამ წესის გამოსაყენებლად მნიშვნელოვანია ორი წინაპირობის არსებობა: არ უნდა იყოს გასული მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადა და მემკვიდრეობის მისაღებად მოწვეულ მემკვიდრეს გასული ვადის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს სამკვიდრო მიღებული (არც განცხადების წარდგენით და არც ფაქტობრივი ფლობით). თუ სავალდებულო მემკვიდრემ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში კანონით განსაზღვრული ნებისმიერი საშუალებით მიიღო სამკვიდრო, მიღებული მემკვიდრეობა შედის სამკვიდროში და მემკვიდრეობზე საერთო წესით ნაწილდება. მემკვიდრეობის მიღების უფლება იმ შემთხვევაში არ გადადის, თუ მემკვიდრემ არ გამოხატა ნება და სამკვიდრო არ მიიღო კანონით დადგენილ ვადაში, ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს სიცოცხლეშივე დაუკარგავს მემკვიდრეობის მიღების უფლება, ამიტომ მის მემკვიდრეებს უფლება არ აქვთ, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება მოითხოვონ.

სამკვიდროს მიღება, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლება მის მემკვიდრეებზე გადადის. გარდაცვლილ სავალდებულო მემკვიდრეს, რომლის სავალდებულო წილის მიღების უფლება მის პირველი რიგის მემკვიდრეებზე გადადის, „სავალდებულო ტრანსმიტენტი“ ეწოდება, ხოლო მემკვიდრეს, რომელზეც სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების უფლება გადადის – „სავალდებულო ტრანსმისარი“.

მემკვიდრეობით-სამართლებრივ ურთიერთობაში ტრანსმიტენტი მამკვიდრებლის როლში თავის ქონებასთან ერთად იმ წილის საფუძველზე გამოდის, რომელიც მას მიუღო სამკვიდრო მასში გარდაცვალებამდე ეკუთვნოდა. ტრანსმისარი ტრანსმიტენტის უშუალო მემკვიდრეა, მაგრამ გარკვეული სამართლებრივი კავშირი აქვს ტრანსმიტენტის მამკვიდრებელთანაც, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მას არა მარტო ტრანსმიტენტის, არამედ ტრანსმიტენტის მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებაც ეკისრება;² თუ პირველი მამკვიდრებლის სამკვიდრო აქტივი საკმარისია როგორც მისი, ასევე ტრანსმიტენტის კრედიტორთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ტრანსმისარს ორივე მათგანის გადახდა ვვალდება (თავისი წილის კვალობაზე), ხოლო, თუ პირველი მამკვიდრებლის (ტრანსმიტენტის მამკვიდრებლის) სამკვიდრო აქტივი უპირატესად მხოლოდ მისი კრედიტორების ინტერესებს აკმაყოფილებს, მაშინ სწორედ ტრანსმიტენტის მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს.

როგორც მემკვიდრეობითი ტრანსმისიით (როგორც ტრანსმისარმა), ასევე თავად ტრანსმიტენტის სამკვიდროს. ეს ორი დამოუკიდებელი უფლება შესაძლებელია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელდეს. იმ მემკვიდრეთა წრე, რომელნიც მოწვეულნი არიან მემკვიდრეობის მისაღებად მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესით და უშუალოდ ტრანსმიტენტის გარდაცვალების შემდეგ, ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. საზოგადოდ, მემკვიდრეობითი ტრანსმისიით კანონისმიერ მემკვიდრეებს იწვევენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ტრანსმიტენტმა ანდერძი მთელ ქონებაზე შეადგინა, მემკვიდრეებზე ანდერძით მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მემკვიდრეობის მიღების უფლება გადადის; ამიტომ, თუ ტრანსმიტენტმა ანდერძით განკარგა თავისი ქონების ნაწილი, ანდერძით მემკვიდრეები არ იქნებიან მოწვეულნი მემკვიდრეობითი ტრანსმისიით.

მემკვიდრეობის მიღება მემკვიდრეობითი ტრანსმისიით ხორციელდება იმავე წესით, რომელიც საერთო მემკვიდრეობის შემთხვევაშია, მაგრამ, ვინაიდან ორ დამოუკიდებელ მემკვიდრეობას იღებენ, აღნიშნული ქმედებანი მაინც ორი სხვადასხვა აქტია; ამიტომ განცხადების შეტანა ტრანსმიტენტის სამკვიდრო ქონების მისაღებად ან ამ უკანასკნელის ქონების ფაქტობრივი დაუფლება არ მიიჩნევა ტრანსმისიით მემკვიდრეობის მიღებად. მემკვიდრეობის მისაღებად უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი მოქმედებები. ტრანსმისარმა განცხადება უნდა წარადგინოს პირველი მამკვიდრებლის მემკვიდრეობის მისაღებად ან ფაქტობრივად დაეუფლოს მას. გარდა ამისა, პირს შეუძლია წარადგინოს როგორც ორი (სათითოდ) განცხადება თითოეული სამკვიდროს მისაღებად, ისე ერთი (საერთო) განცხადება ორივე სამკვიდროს მისაღებად. გარდაცვლილი ტრანსმიტენტის მემკვიდრეებმა შეიძლება მემკვიდრეობა მიიღონ მემკვიდრეობითი ტრანსმისიით და უარი თქვან მის მემკვიდრეობაზე ან პირიქით – მიიღონ გარდაცვლილი ტრანსმიტენტის სამკვიდრო და არ მიიღონ სამკვიდრო



სავალდებულო წილის ტრანსმისია და შვილიშვილი სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალს ურთიერთობის სუბიექტი¹

ავტორი დიანა ბერეკაშვილი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, სამართლის დოქტორი

მემკვიდრეობითი ტრანსმისის წესით. მათ შეუძლიათ მიიღონ ორივე მემკვიდრეობა ან უარი თქვან ორივეს მიღებაზე. ტრანსმისარის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მან ვერ მოასწრო მემკვიდრეობითი ტრანსმისით მასზე გადასული სამკვიდროს მიღების უფლების რეალიზება, მის მემკვიდრეებზე ეს უფლება არ გადადის. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეობის მიღების უფლების ტრანსმისარის წილი გადადის სხვა ტრანსმისარებზე, ასეთთა არსებობის შემთხვევაში, ოღონდ, თუ სხვა ტრანსმისარები არ არიან იმ მემკვიდრეებზე, რომლებიც სამკვიდროს მისაღებად ტრანსმიტენტთან ერთად იყვნენ მოწვეულნი ძირითადი მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ.³

მემკვიდრეობითი ტრანსმისით მემკვიდრეობის მიღების უფლების საკითხი არ წარმოიშობა, თუ პოტენციურ ტრანსმიტენტს, ე.ი. მემკვიდრეს, რომელმაც დადგენილ ვადაში ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება, დანიშნული ჰყავდა სათადარიგო მემკვიდრე. მაშინ უპირატესობა სათადარიგო მემკვიდრეს ენიჭება. მემკვიდრეობის ერთ-ერთი საანდერძო განკარგულება შეიძლება სათადარიგო მემკვიდრის დანიშვნა იყოს, ე.ი. მეორე მემკვიდრის განსაზღვრა, რომელსაც მემკვიდრეობის მიღების უფლება იმ შემთხვევაში აქვს, თუ ძირითადი მემკვიდრე მემკვიდრეობას რაიმე მიზეზით ვერ მიიღებს. კანონი ამომწურავად განსაზღვრავს საფუძვლებს, როცა მემკვიდრეობის მისაღებად სათადარიგო მემკვიდრე მოიწვევა. ამ საფუძვლებში შედის იმ მემკვიდრის გარდაცვალება, რომელმაც ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება. ამრიგად, თუ ანდერძში არაა მითითებული, დაკონკრეტებული ძირითადი მემკვიდრის ნაცვლად სათადარიგო მემკვიდრის მოწვევის საფუძველი, მაშინ ნებისმიერი საფუძვლით ძირითადი მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელის ნაცვლად სამკვიდროს სათადარიგო მემკვიდრე მიიღებს. იგივე შედეგები დგება, თუ ანდერძში სათადარიგო მემკვიდრის მოწვევის საფუძვლად ძირითადი მემ-

კვიდრის გარდაცვალებაა მითითებული. თუ სათადარიგო მემკვიდრის მოწვევის საფუძვლად მითითებულია სხვა კონკრეტული მიზეზი (მაგ., უღირს მემკვიდრედ ცნობა, მემკვიდრის გარდაცვალება სამკვიდროს გახსნამდე და ა.შ.) მემკვიდრეობითი ტრანსმისით მემკვიდრეობის მიღება დასაშვებია.

მემკვიდრეობითი ტრანსმისია ფორმალურად ჰვავს სათადარიგო მემკვიდრეობას ანდერძით მემკვიდრეობისა და წარმომადგენლობით მემკვიდრეობას კანონით მემკვიდრეობისას, თუმცა მათ შორის არსებითი სხვაობაა. ჯერ ერთი, ტრანსმისია გამოიყენება როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეობის დროს. მეორე, მემკვიდრეობითი ტრანსმისია, თუ მემკვიდრედ წოდებული პირი სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაგრამ სამკვიდროს გახსნის დროს ცოცხალი იყო. სათადარიგო მემკვიდრე კი მონდერძის მიერ იმ შემთხვევისათვის ინიშნება, თუ ანდერძით მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე ან ჩამოერთმევა მემკვიდრეობა. ასევე წარმომადგენლობითი მემკვიდრეობაა, თუ კანონით მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა. გარდა ამისა, წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლება აქვთ კანონით განსაზღვრულ პირებს, ტრანსმისისას კი მემკვიდრეობის უფლება შეუძლია მოიპოვოს ნებისმიერმა მემკვიდრემ, მათ შორის – შვილიშვილმაც. განსხვავება ტრანსმისისა და წარმომადგენლობითი მემკვიდრეობას შორის ამ შემთხვევაში იქნება შენარჩუნებული. თუ შვილიშვილი მემკვიდრედ იმის გამო იქნა მოწვეული, რომ ჯერ მისი მშობელი გარდაიცვალა, რომელიც ბუბის ან პაპის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი – ბებია ან პაპა, ეს იქნება მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით; ხოლო, თუ ჯერ ბებია ან პაპა გარდაიცვალა, ხოლო შემდეგ მათი მემკვიდრე შვილი, რომელმაც ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ დროში, შვილიშვილი მიიღებს სამკვიდროს მემკვიდრეობითი ტრანსმისის საფუძველზე.⁴ წარმო-

მადგენლობითი მემკვიდრეობით სამკვიდროს მიღებისას ქონების გადასვლა ერთი მემკვიდრეობისგან (ბებია ან პაპა) მეორეზე (შვილიშვილი) შეუღებური მემკვიდრის (შვილიშვილის ადრე გარდაცვლილი მშობლები) გამოტოვებით ხდება. ტრანსმისის დროს სხვა მდგომარეობაა: ორი მემკვიდრეებელია, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან.⁵ ხშირად ერთმანეთში ურევენ მემკვიდრეობის უფლების გადასვლას ტრანსმისის წესით და მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით, არადა სხვაობა ამ ორ ინსტიტუტს შორის აშკარაა. პირველ შემთხვევაში მემკვიდრე გარდაიცვალა მემკვიდრეობის მიღების გარეშე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, რომელმაც შეიძინა რა მემკვიდრეობის უფლება სამკვიდროს გახსნისას, ეს უფლება თავის მემკვიდრეებს გადასცა. წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრეობის დროს კი პირიქით ხდება: ევენტუალური მემკვიდრე მემკვიდრეებზე ადრე კვდება. მისი მოწვევა მემკვიდრედ სამკვიდროს გახსნის შემდეგ შეუძლებელია, სამემკვიდრეო უფლებებს ის თავის მემკვიდრეებს ვერ გადასცემს, ვინაიდან თავად არ გააჩნია (არ მიუღია) ეს უფლებები. მის ნაცვლად კი მისი მემკვიდრეები მოიწვევიან უშუალოდ და დამოუკიდებლად.

ქართული კანონმდებლობა განმარტავს საგალდებულო წილის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ საგალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით გადადის, თუმცა არ არეგულირებს, თუ კონკრეტულად რომელ მემკვიდრეებზე გადადის საგალდებულო მემკვიდრის საგალდებულო წილის უფლება – ნებისმიერსა თუ მხოლოდ ასევე საგალდებულო მემკვიდრეებზე. საგალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით უნდა გადავიდეს არა ყველა მემკვიდრეზე, არამედ იმათზე, ვისაც გარდაცვლილი საგალდებულო ტრანსმისარი მემკვიდრეობისაგან ასევე საგალდებულო წილი ეკუთვნოდა⁶, ე.ი. მხოლოდ შვილებზე, მშობლებსა და მეუღლეზე. სასამართლომ

სხვაგვარად დაასაბუთა საგალდებულო მემკვიდრის წილის გადასვლა მის მემკვიდრეებზე საქმეში, რომელშიც საგალდებულო მემკვიდრე მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან 3 თვეში გარდაიცვალა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გარდაცვლილი საგალდებულო მემკვიდრის საგალდებულო წილი სამკვიდროდან მის მეორე რიგის მემკვიდრეებზე – დაძმზე გადავიდოდა. საკასაციო სასამართლომ კი განმარტა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონება შეიცავს რა მემკვიდრეობის იმ ქონებრივ უფლებებს – სამკვიდრო აქტივს, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის და მათ შორის ამავე კოდექსის 1371-ე მუხლით გათვალისწინებულ საგალდებულო წილს, ამ უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში მიუღებელი საგალდებულო წილი განხილულ უნდა იქნეს როგორც სამკვიდრო აქტივის ნაწილი და მასზე მემკვიდრეობის უფლება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლით დადგენილი რიგითობით კანონით მემკვიდრეობისას. ამასთან, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ამ შემთხვევაში, განსხვავებით საგალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირებისაგან, რაიმე გამოწვევის კანონით დადგენილი არ არის.⁷

თუ საგალდებულო წილის მემკვიდრეობის ტრანსმისის დროს ტრანსმიტენტს საგალდებულო მემკვიდრეს არ დარჩენს პირველი რიგის მემკვიდრეები, არ შეიძლება სხვა – მეორე ან შემდგომი რიგის – მემკვიდრეებზე გადავიდეს საგალდებულო წილის მიღების უფლება, რამდენადაც ეს უფლება კონკრეტულ პირთა – პირველი რიგის მემკვიდრეთა – პირადი უფლებაა. ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული კონკრეტული, პირველი რიგის, მემკვიდრეები. თუ ტრანსმიტენტი საგალდებულო მემკვიდრე გარდაიცვალა და მას არ დარჩენს პირველი რიგის მემკვიდრეები, მისი უფლება საგალდებულო წილის მიღებაზე ძალას კარგავს და უქმდება

ტრანსმიტენტის მემკვიდრეს უფლება აქვს სამკვიდროს მიღებისა როგორც მემკვიდრეობითი ტრანსმისით (როგორც ტრანსმისარმა), ასევე თავად ტრანსმიტენტის სამკვიდროსი

ანდერძის თავისუფლების კანონის-მიერი შეზღუდვაც. საგალდებულო მემკვიდრის უფლებების მოცულობა შევიწროებულია „ჩვეულებრივი“ მემკვიდრეების უფლებამოსილებათა სპექტრთან შედარებით. საგალდებულო წილის პერსონიფიცირებული ხასიათი განმარტავს და მკაცრად განსაზღვრავს კანონმდებლობით შემოფარგლულ აუცილებელ მემკვიდრეთა წრეს. ყოველივე ეს შეტყვევებს კანონმდებლობის მკაფიო პოზიციაზე საგალდებულო წილის მემკვიდრეობის ინდივიდუალური ხასიათის მიმართ.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი ტრანსმისის დროს გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მემკვიდრის გარდაცვალება იწვევს სამკვიდროს გახსნას მის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე, რომელშიც, თავის მხრივ, დამატებით უნდა ჩაირთოს იმ სამკვიდროს მიღების უფლებაც, რომელიც მემკვიდრემ ვერ განახორციელა სამკვიდროს მიღების უფლებაც, რომელიც მემკვიდრემ ვერ განახორციელა სამკვიდროს მიღების უფლებაც, რომელიც მემკვიდრის ძირითადი სამკვიდროს მისაღებად უფრო მეტი ვადა დადგენილი, ვიდრე მასში ჩართული სხვა სამკვიდროს მიღებისათვის.

სასამართლოს შეუძლია აღადგინოს სამკვიდროს მიღების ვადა, თუ ვადის გაშვების მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს. მემკვიდრეობითი ტრანსმისით სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საძლებლობას კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს. აღნიშნული, რასაკვირველია, შესაძლებელია უდავო წესითაც, ანუ იმ პირობით, თუ ამაზე თანხმობას სამკვიდროს მიიღები ყველა დანარჩენი მემკვიდრე განაცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს კანონი უშუალოდ არ არეგულირებს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დადგენილი ვადის გასვლისას მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობის საერთო წესები. დაუშვებელია მემკვიდრედ არ მიიჩნიოს პირი, თუ მის მემკვიდრედ ცნობას ეთანხმება ყველა დანარჩენი მემკვიდრე, რომელთაც მემკვიდრეობა მიღებული აქვთ. გასათვალისწინებელია, რომ იმ მემკვიდრეთა წრე, რომელთა თანხმობითაც ვადის გამშვებ საგალდებულო მემკვიდრეს შეუძლია მემკვიდრეობის ტრანსმისით მიღება, უნდა განისაზღვროს მემკვიდრეობითი ტრანსმისის თავისებურებათა გათვალისწინებით. თუ მემკვიდრეობის მიღების უფლება რამდენიმე საგალდებულო ტრანსმისარზე გადავიდა, თანხმობა წერილობითი ფორმით ყოველმა მათგანმა უნდა გამოხატოს. თუ მემკვიდრეობის მიღების უფლება ერთ საგალდებულო მემკვიდრეზე გადადის, რომელმაც ვადა გაუშვა, მის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე თანხმობა იმ მემკვიდრემ უნდა განაცხადოს, რომელიც ძირითადი მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობის მისაღებად ტრანსმიტენტთან ერთად არის მოწვეული და ანდერძისმიერი მემკვიდრეა, მაგ., ანდერძისმიერი მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ საგალდებულო წილის მისაღებად მოწვეული იყო სამი საგალდებულო მემკვიდრე (მეუღლე, მშობლები და შვილი, თითოეულის საგალდებულო წილი – 1000 ლარი) – ამათ შორის ერთი შვილი გარდაიცვალა ძირითადი მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან 3 თვეში, საგალდებულო ტრანსმიტენტის (შვილის) საგალ-



დებულო წილის 1000 ლარის მიღების უფლება გადადის მის პირველი რიგის მემკვიდრეზე (მეუღლე, მშობლები და შვილი), სავალდებულო ტრანსმისარეზე. თუ ერთ-ერთმა სავალდებულო ტრანსმისარმა გაუშვა ტრანსმისიით სამკვიდროს მიღების კანონით განსაზღვრული ვადები, სამკვიდროს მისაღებად მას სჭირდება დანარჩენი ორი სავალდებულო ტრანსმისარი მემკვიდრის თანხმობა, ვინაიდან იგი მხოლოდ მათ ქონებრივ ინტერესებს ეხება; რადგანაც განსაზღვრულია სამკვიდროს ერთიანი მოცულობა სავალდებულო წილის სახით – 1000 ლარის ოდენობით, ამიტომ სამკვიდროს მიღების ვადების გამშვები სავალდებულო ტრანსმისარის წილი დანარჩენ ტრანსმისარი მემკვიდრეებზე გადავა. იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო ტრანსმისარი ერთადერთია, მაშინ მას სჭირდება არა ძირითადი მემკვიდრის სავალდებულო მემკვიდრეთა თანხმობა, ჩვენი მაგალითის მიხედვით, მეუღლისა და მშობლისა, მათ არ აქვთ ქონებრივი ინტერესი, არამედ – ანდერძისმიერი მემკვიდრის თანხმობა. მოქმედი კა-

ნონმდებლობა ითვალისწინებს რა სამკვიდროს მიღების ვადების საპატიოდ ცნობას და სასამართლო წესით მათს აღდგენას, შესაძლებელია ასევე, რომ არსებობს ტრანსმისიით სამკვიდროს მიუღებლობის საპატიო მიზეზებიც, რაც სასამართლომ უნდა აღადგინოს. სავალდებულო წილის ტრანსმისიით სამკვიდროს მიღებაზე შეიძლება სავალდებულო ტრანსმისარმა თქვას უარი, მაგრამ სამკვიდროს მიუღებლობა მას არ ართმევს შესაძლებლობას, ის სამკვიდრო მიიღოს, რომელიც უშუალოდ ტრანსმიტენტს ეკუთვნოდა. ზოგადად, ტრანსმისარს შეუძლია უარი თქვას ტრანსმისიით სამკვიდროზე, ოღონდ ტრანსმიტენტის მემკვიდრეთა სასარგებლოდ. თუ სავალდებულო ტრანსმისარი რამდენიმეა, როგორც აღინიშნა, თითოეულს თანაბრად ეკუთვნის სავალდებულო ტრანსმიტენტის წილი და, თუკი რომელიმე მათგანი არ მიღებს ან უარს იტყვის ტრანსმიტენტის სავალდებულო წილიდან თავის კუთვნილ წილზე, – ეს არ გამოიწვევს ანდერძისმიერი

მემკვიდრის წილის გაზრდას. ხოლო, თუ სავალდებულო ტრანსმისარი მხოლოდ ერთია და არ მიიღებს სავალდებულო ტრანსმიტენტის სავალდებულო წილს ან უარს იტყვის მასზე, სავალდებულო წილის უფლება გადადის არა სხვა სავალდებულო მემკვიდრეზე, არამედ მხოლოდ ძირითადი მემკვიდრის ანდერძისმიერ მემკვიდრეზე. სავალდებულო ტრანსმისარის მიერ სავალდებულო წილის მიღებაზე უარს კანონმდებლობა არ არეგულირებს და, ზოგადად, სავალდებულო წილზე უარის თქმის ნორმების ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია, ტრანსმისის განსაკუთრებული თავისებურებებიდან გამომდინარე. შვილიშვილის სავალდებულო წილის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დავა დღემდე გრძელდება. ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილებით შვილიშვილი მიჩნეულია სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირად, რაც არასწორია და სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა

წრის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ გაფართოებას გულისხმობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი ამომწურავად შეიცავს სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირთა ჩამონათვალს და ანალოგიის გამოყენებით ამ წრის გაზრდა დაუშვებელია. მითითებული ნორმა სავალდებულო მემკვიდრეობად მემკვიდრის შვილებს ასახელებს და არ შეიცავს დებულებას შვილიშვილების შესახებ, თუ მათი მშობელი, რომელიც სავალდებულო მემკვიდრე იქნებოდა, უკვე აღარ არის ცოცხალი სამკვიდროს გახსნის დროისათვის, როგორც ამას შეიცავს სსკ 1336-ე მუხლის დანაწესი. კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება, მკაცრად განსაზღვროს სავალდებულო წილზე უფლებამოსილ მემკვიდრეთა წრე, გამორიცხავს ნორმის ანალოგიით გამოყენებას კანონით მოუწესრიგებულ შემთხვევაზე, რადგან არ არსებობს ანალოგიის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ, გამორჩენილი ხარვეზი. ის ფაქტი, რომ კონკრეტული „ა“ გარემოება და კანონით მოწესრიგებული „ბ“ შემთხვევა ერთმანეთის მსგავსად შეგნებულად არ მოწესრიგდა, თავისთავად გამორიცხავს ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. პირიქით, კანონმდებელი აქ უშვებს მხოლოდ ე.წ. უკუდასკვნის გაკეთების შესაძლებლობას – argumentatio e contratio an argumentum e silentio. თავისი დუმილით კანონმდებელი გადაჭრით აცხადებს, რომ კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევა არ უნდა გადაწყდეს კანონით გარკვევით მოწესრიგებული შემთხვევის მსგავსად. ასეთ შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, ეხება თუ არა საქმე კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებას ან გამორჩენილ ხარვეზს, შესაბამისად, დასაშვებია თუ არა კანონის ანალოგიის გამოყენება, იქნება თუ არა უკუდასკვნის გაკეთების აუცილებლობა, შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ ნორმის აზრისა და მიზნის გამოკვლევის შედეგად. საქმე ეხება ე.წ. ტელეოლოგიურ განმარტებას.⁸ სავალდებულო მემკვიდრეთა სუბიექტების განსაზღვრისას კანონმდებლობა არ შეიცავს ბუნდოვან დე-

ბულებებს და მოსამართლეს არ აქვს უფლება, კანონს, რომელიც ფორმულირებისა და შინაარსის მიხედვით ერთმნიშვნელოვანია, „კონსტიტუციის შესაბამისი“ განმარტების გზით საპირისპირო მნიშვნელობა მიანიჭოს. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1953 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „ორაზროვნების შემთხვევაში საჭიროა ნორმის კონსტიტუციური განმარტება“, მაგრამ იქვე მიუთითა, რომ ყოველივე აღნიშნულის ფარგლებში „აუცილებელია მთლიანად კანონის მიზნის გათვალისწინება... არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ასეთი კონსტიტუციური განმარტება არსებით საკითხებში გასცდეს ან შეცვალოს საკანონმდებლო მიზნები“.⁹ სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სსკ 1372-ე მუხლი, რომლის თანახმადაც: სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ზემოაღნიშნული დანაწესის გამოყენებისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა: პირველი – სამკვიდროს გახსნა, ანუ გარდაიცვალა ძირითადი მემკვიდრე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ გარდაიცვალა სავალდებულო მემკვიდრე ისე, რომ ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება და მეორე – ასეთი სამკვიდროს, ანუ სავალდებულო წილის, მიღების უფლება გადადის არა ყველა, არამედ მხოლოდ იმ მემკვიდრეებზე, რომლებსაც გარდაცვლილი მემკვიდრისაგან სავალდებულო წილი ეკუთვნით. სავალდებულო წილის მიღების უფლება ჯერ თავად წარმომდგენ პირს უნდა ჰქონდეს, მაგალითად, მამის გარდაცვალების შემდეგ გარდაიცვალა სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირის შვილი, შესაბამისად მამის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შემდეგ მას მოიწვევდნენ სავალდებულო წილის მისაღებად. ასეთ დროს, თუ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, მისი ეს უფლება შესულია სამკვიდრო მასაში და მემკვიდ-

რეებზე გადადის. სამკვიდრო მოიცავს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებზე მემკვიდრეობის სამართლის ნორმებით დადგენილი წესით გადადის, შესაბამისად, სამკვიდროში შედის მხოლოდ ის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც მემკვიდრეობის სამკვიდროს გახსნის დროისათვის ჰქონდა. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სავალდებულო მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის დროისათვის ჰქონდა სავალდებულო წილის მიღების უფლება, რომელიც მის სამკვიდრო მასაში შედის და მის მემკვიდრეებს გადაეცემა. თუ სავალდებულო მემკვიდრის გარდაცვალება თავად მემკვიდრის გარდაცვალებას უსწრებდა, მაშინ ამ უკანასკნელს, ბუნებრივია, სავალდებულო წილის მისაღებად ვერ მოიწვევდნენ, შესაბამისად, სამკვიდროს გახსნის დროისათვის მის სამკვიდრო მასაში ვერც შევიდოდა სავალდებულო წილზე უფლება. ამის საწინააღმდეგო განმარტება უსაფუძვლოდ გამართდა სავალდებულო წილის მიღება პირთა წრეს და, რაც მთავარია, შესაძლებლობას მისცემდა არა მხოლოდ შვილიშვილს, არამედ მემკვიდრისათვის უცხო სხვა პირებსაც, რომ სავალდებულო წილი მიეღოთ. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ სავალდებულო წილის მემკვიდრის უფლება სავალდებულო წილზე მემკვიდრეობით გადადის, – მაშინაც კი, როცა მას ეს უფლება სიცოცხლეშივე არ მოუპოვებია, – გამოდის, რომ იგი დამოუკიდებელი სამკვიდროს ქონებაა და ეს ქონება (სავალდებულო წილი) მემკვიდრეობით გადავა სავალდებულო მემკვიდრის ნებისმიერ მეორე თუ შემდგომი რიგის ან თუნდაც ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე. მემკვიდრე, რომელიც თავად არ იყო აღჭურვილი სავალდებულო წილის მიღების უფლებით, არც არასოდეს მოუპოვებია ეს უფლება სიცოცხლეში, ვერც მემკვიდრეს გადასცემს იმას, რაც მას არასოდეს ჰქონია. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, – მოსარჩელე შვილიშვილი ითხოვდა სავალდებულო

წილს – განმარტა შემდეგი: საქართველოს კოდექსის 1307-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, კანონით შემკვიდრების დროს შემკვიდრებები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მაშვიდრებლის სიკვდილის მომენტი-სათვის. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის გარდაცვალებას უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, კასატორის მამის, გარდაცვალება. ამდენად, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად ვერ იქნებოდა მოწვეული. კასატორის მოთხოვნის უსაფუძვლობას განამტკიცებს სკ-ის 1372-ე მუხლი, რომლის თანახმად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან წარმოიშობა. სავალდებულო წილთან დაკავშირებული შემკვიდრებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის კი აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, – ადამიანის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება – რომელიც იწვევს სამკვიდროს გახსნას (იხ. სკ-ის 1319-ე მუხლი). ქ. ბ-ის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ და, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებით მხოლოდ იმ მომენტი-სათვის ცოცხალ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე შემკვიდრებს შეეძლოთ, რომ ესარგებლოთ.¹⁰

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეილიშვილის სავალდებულო წილთან დაკავშირებულ სხვა დავასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული განმარტა, გაიზიარა და მიუთითა, რომ: სავალდებულო წილის მიღების უფლებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხლად მყოფ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე შემკვიდრებებს. კასატორებზე მათი მამის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება შემკვიდრებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავიდოდა, თუ ეს უკანასკნელი სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვლებოდა, რომ სავალდებულო წილის მიღებას ვერ მოასწრებდა. საკასაციო სასამართლო არ

დაეთანხმა კასატორების არგუმენტს, რომ სასამართლოს მათთვის სავალდებულო წილის მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა ადგენს კანონის მიერ შემკვიდრეთა წრეს, რომელშიც შეილიშვილებიც შედიან. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ნორმა განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნებოდა გამოყენებული, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კანონით შემკვიდრება – გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი ან, თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან, თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის მიერ დატოვებული იყო ანდერძი, ამიტომ სადავო ურთიერთობა რეგულირდება სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც მამკვიდრებლის სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების შემკვიდრებით გადაცემის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.¹¹

ამგვარად, კანონით შემკვიდრებისა და სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა თავში და ისინი წარმოადგენს სპეციალურ ნორმებს. კანონით შემკვიდრების მომწესრიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 1336-ე-1343-ე მუხლები) არ შეიცავს არაიმე დათქმას სავალდებულო წილზე, რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის შინაარსს: ჩამოთვლილი სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირები არიან არა ზოგადად კანონით შემკვიდრეთა წრიდან, არამედ – კონკრეტულად, სხვა ნორმაზე მითითების გარეშე, და მათ შორის მამკვიდრებლის შეილიშვილები მოხსენიებული არ არიან. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის გამოყენებას განსახილველი შემთხვევისათვის აფერხებს ასევე ამავე კო-

დექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმადაც, კანონით შემკვიდრება, გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი ან, თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან, თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ შეიცავს, იგი, როგორც ზოგადი ნორმა, სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის ლოგიკური განმარტებისათვის შემოწმებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ სავალდებულო წილის უფლების დადგენისათვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კანონით შემკვიდრების ნორმები.¹²

სულ სხვა მოსაზრებები განავითარა სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელზეც ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დადგინდა. პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით შემკვიდრეთა წრეს, რომელთა შორისაა პირველი რიგის იმ შემკვიდრეთა ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ, მიიღონ 1371-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო წილი. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე და 1336-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შეილიშვილი პირველი რიგის კანონით შემკვიდრეს წარმოადგენს და, შესაბამისად, – სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის შემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ცოცხალი აღარ არის. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტებები არ გაიზიარა საკასაციო სასამართლომ და განმარტა, რომ: ვიდრე გაირკვეოდა მატერიალური კანონმდებლობით პირისათვის მინიჭებული უფლების რეალიზაციის საკითხი, აუცილებელია იმისი დადგენა, არის თუ არა კონკრეტული პირი ამ უფლების სუბიექტი და სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანო-

ბის შესამოწმებლად, უპირველეს ყოვლისა, სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები უნდა იყოს სწორად განმარტებული. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის მიხედვით იმ პირთა წრე განისაზღვრება, რომელთაც სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვთ, კერძოდ: მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნიან სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რომელიც თითოეულ მათგანს კანონით შემკვიდრების დროს ერგებოდა. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება იმის შესახებ, რომ სავალდებულო წილის ინსტიტუტის შემოღებით კანონმდებელმა შეზღუდა რა ანდერძის თავისუფლება, გაითვალისწინა პირველი რიგის კანონით შემკვიდრეთა, მათ შორის შეილიშვილების, ინტერესები, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იქნებოდა მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის შემკვიდრე უნდა ყოფილიყო. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება როგორც კანონის სიტყვასიტყვით, ასევე ლოგიკურსა და სისტემურ განმარტებას. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის გამოყენებას განსახილველი შემთხვევისათვის ასევე აფერხებს ამავე კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმადაც, კანონით შემკვიდრება, გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი ან, თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან, თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ შეიცავს, იგი, როგორც ზოგადი ნორმა, სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის ლოგიკური განმარტებისათვის შემოწმებას მოითხოვს. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. მითითებული ნორმის შინაარსიდან გა-

მომდინარეობს, რომ სავალდებულო წილთან დაკავშირებული შემკვიდრებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რომელიც იწვევს სამკვიდროს გახსნას. სავალდებულო წილის მიღების უფლებით მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხლად მყოფი სავალდებულო შემკვიდრებები სარგებლობენ. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის მეორე წინადადება ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას, თუმცა, ამავე ნორმის თანახმად, ტრანსმისია დასაშვებია, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე შემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება. ხოლო ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირიქით მამკვიდრებლის გარდაცვალებას სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე შემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება. ხოლო ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირიქით მამკვიდრებლის გარდაცვალებას სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე შემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ

ამგვარად, შემკვიდრების სამართლის დებულებები შეიცავს კანონით შემკვიდრებისა (სსკ 1336-ე-1343-ე მუხლები) და სავალდებულო წილის შემკვიდრების (1371-ე-1382-ე) მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს. სავალდებულო წილზე უფლებამოსილ შემკვიდრეთა წრეს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი, რომელიც იმპერატიულად, სხვა ნორმაზე (მაგ. სსკ 1336-ე მუხლზე) მითითების გარეშე ადგენს სავალდებულო წილზე უფლების მქონე კონკრეტულ პირთა წრეს პირველი რიგის შემკვიდრებიდან, ესენი არიან: მეუღლე, მშობლები და შვილები, მაგრამ მათ შორის არ მოიხსენებიან მამკვიდრებლის შეილიშვილები. შეილიშვილი სავალდებულო შემკვიდრე შეიძლება იყოს სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას. ამავე ნორმის თანახმად, ტრანსმისია დასაშვებია, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე შემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდა-

იცვალა, რომ ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, ხოლო, თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებას სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის გარდაცვალება უსწრებდა, ბუნებრივია, ამ უკანასკნელს (სავალდებულო შემკვიდრეს) ვერ წარმოეშობოდა სავალდებულო წილის მიღების უფლება და ამ უფლებით ვერც მისი შემკვიდრე ვერ ისარგებლებდა. შესაბამისად, შეილიშვილი სავალდებულო შემკვიდრეა მხოლოდ შემკვიდრებითი ტრანსმისიით და სპეციალური ნორმის არსებობისას დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი სავალდებულო წილის შემკვიდრების უფლება.

1 დიანა ბერეკაშვილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, სამართლის დოქტორი

2 შენგელია რ. შენგელია ე. „საოჯახო და შემკვიდრების სამართალი“, თბილისი 2017, გვ. 414

3 Булаевский Б.А. Наследственное право – М.: 2005. с. 178.

4 შენგელია რ. შენგელია ე. „საოჯახო და შემკვიდრების სამართალი“, თბილისი 2017 წ. გვ. 414

5 იქვე, გვ. 415

6 ახვლედიანი ზ. „შემკვიდრების სამართალი“, თბილისი 2007 წ., გვ. 49

7 სუსგ საქმე Nას-981-1245-05. 3 აპრილი, 2006 წ.

8 ბილინივი ჰ. უღირს შემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 6, თბ. N4. 2003; გვ. 520

9 იურგენ შვაბე (ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი), გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ. 2011 წ., გვ. 1

10 სუსგ N 3კ-1434-02 27.05. 2003 წ.

11 სუსგ N ას-681-637-2010 25.01.2011 წ.

12 სუსგ N ას-1223-1164-2014. 16 თებერვალი, 2015 წ.

13 სუსგ N ას-1577-1480-2012. 16 ივნისი, 2013 წ.



უკანონობაში თანასწორობის არარსებობის პრინციპის მოქმედება და ფარგლები ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავებში

ავტორი მერი ალაპიშვილი
ნიცის სოფია ანტიპოლის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მაგისტრი; საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენტის სამართლის კომიტეტის წევრი

შესავალი

დისკრიმინაციის გამო-რიცხვის ბუნებითი მართლწესრიგი თანასწორობის უფლების დარღვევის დადგენის ალგორითმზე დგას. განსხვავებული მოპყრობის აღმოფხვრა უნივერსალურ, იდეალურ, ჯერარსულ სამართლებრივ რეალობას მიემართება, რომელიც თავს ან დისკრიმინაციის მოსპობაში იჩენს, ან მის გამართლებაში პოვებს. პრინციპი „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“, როგორც წესი, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა მიმართ განსხვავებული მოპყრობისას თანასწორობაზე უფლების გამოსარიცხად გამოიყენება,

რაც შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხისმგებლობის ასარიდებლად გამოდგეს, თუმცა საბოლოოდ მაინც საჯარო მმართველობის ხარვეზებზე მიუთითებს და შესაძლებელია, მისი ხშირი გამოყენება ადმინისტრაციის დისკრიმინაციული პრაქტიკის დამადასტურებელ გარემოებადაც შემობრუნდეს.
1999 წლიდან დისკრიმინაციის აკრძალვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლით საქართველოს ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობების ნაწილია, რომელიც განაგრძობს თანასწორობის პრინციპს კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე, როგორც ადმინისტრაციული ურთიერთობის რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვის ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლის, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭების ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღების დაუშვებლობას. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა აშკარაა, როდესაც არ იკვეთება ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი“ (სუს განჩინება Nბს-695(კ-19), 30.09.2021 წ.).

საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის განვითარებასთან ერთად ბოლო წლებში ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საჯარო მმართველობითი ღონისძიებების ადრესატთა შორის სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობები არცთუ იშვიათად იქნეს დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენისა და აღმოფხვრის განზომილებას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 2014 წლის კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ვალდებულება ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებაზე ყველა სფეროში. ამ ვალდებულების ფარგლებში ადმინისტრაციულსამართლებრივ სივრცეში განსხვავებული მოპყრობის დადგენის მექანიზმი ხასიათდება თავისებურებით, რომელიც, დიფერენციაციის გამართლების გამორიცხვის გარდა, ასევე მოიცავს უკანონობაში თანასწორობის გამორიცხვას. პრინციპი „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“ ტრადიციულად კანონის წინაშე თანასწორობის უფლების გამორიცხველ პრინციპად გამოიყენება. თუმცა საინტერესოა, ყოველთვის შეესაბამება თუ არა დისკრიმინაციის აკრძალვის იმ მასშტაბს, რომელიც ანტიდისკრიმინაციული მართლწესრიგის დახვეწამ და გაფართოებამ მოიტანა.

წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილავთ უკანონობაში თანასწორობის არარსებობის პრინციპის მოქმედების ფარგლებს საქართველოსა და ევროპის სამართლებრივ სივრცეებში (I) და მის მნიშვნელობას დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით აღიარებითი სარჩელის განხილვისას (II).


ნასწორობაზე უფლების მოხმობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. აღნიშნული პრინციპის დამუშავებისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ყურადღებას ამახვილებს პირის კანონიერი ინტერესის არარსებობის მნიშვნელობაზეც. „კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი“ გულისხმობს პირის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვის ან მათი განხორციელებისათვის ხელშეშლის აკრძალვას, რამდენადაც „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“ (სუს განჩინება Nბს-664-649 (კ-14), 07.07.2015 წ.). ამდენად,

პრინციპი „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“, როგორც წესი, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა მიმართ განსხვავებული მოპყრობისას თანასწორობაზე უფლების გამოსარიცხად გამოიყენება, რაც შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხისმგებლობის ასარიდებლად გამოდგეს, თუმცა საბოლოოდ მაინც საჯარო მმართველობის ხარვეზებზე მიუთითებს და შესაძლებელია, მისი ხშირი გამოყენება ადმინისტრაციის დისკრიმინაციული პრაქტიკის დამადასტურებელ გარემოებადაც შემობრუნდეს

I. უკანონობაში თანასწორობის არარსებობის პრინციპის მოქმედების ფარგლები

ადმინისტრაციული სამართლის პრინციპი „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“ შინაარსობრივად წარმოადგენს საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობიდან (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი) გამონაკლისს. ის ისეთ მდგომარეობას ასახავს, როცა პირს, რომელიც, ფაქტობრივად, განსხვავებული მოპყრობის ობიექტია, არ შეუძლია თა-

თანასწორობის უფლებით სარგებლობისთვის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ პირს მხოლოდ კანონიერი და არა უკანონო ინტერესი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ წარმოეშობა უფლება თანასწორობაზე. სამართალდამრღვევი პირი ვერ გახდის სადავოდ მის მიმართ გამოყენებულ საქციელს იმ საფუძვლით, რომ იმავე სამართალდარღვევის სხვა ჩამდენს სანქცია არ შეეფარდება. ეს კანონიერების, ანუ კანონზე დაყრდნობით უფლებამოსილების განხორციელების პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედება განახორციელოს.



ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო უკანონობაში თანასწორობის გამორიცხვის პრინციპს მმართველობის კანონიერების პრინციპსა და თანასწორობის პრინციპს შორის დამაბალანსებელი ინსტრუმენტის მნიშვნელობას ანიჭებს და გამოხატავს ფორმულით: „არავის შეუძლია თავის სასარგებლოდ მოიხმოს სხვის სასარგებლოდ ჩადენილი უკანონობა“ (Arrêt du 16 juin 2016, Evonik Degussa GmbH et AlzChem AG contre Commission européenne (C-155/14 P) (cf. point 62).

ევროპული ადმინისტრაციის უკანონობაში თანასწორობის არარსებობის პრინციპს განიხილავენ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპზე მმართველობის კანონიერების პრინციპის პრიმატად, რაც საკუთარი შეცდომის გამო ადმინისტრაციის შეზღუდვის დაუშვებლობაში გამოიხატება, მაგალითად: ბელგიური და შვეიცარიული მიდგომით კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციური ნორმა მხოლოდ კანონის ადეკვატურ გამოყენებას მიემართება და მოსარჩელეს არ შეუძლია თანასწორობაზე უფლების მოხმობა კანონის არასწორად გამოყენებისთვის. ამოსავალი იდგას არის, რომ ხელისუფლებას, რომელიც კანონს დაარღვევს, ვერ შევბოჭავთ ამ შეცდომით და ვერ დავსჯით მისი ხელახლა დარღვევის დაკისრებით (იხ. Aubert J.-F., „Des quelques limites au principe de la primauté des lois“ Festschrift zum 70. Geburtstag von Hans Nef, Zurich, Schulthess, 1981, 1-25).

ერთი შეხედვით, უკანონობაში თანასწორობის გამორიცხვა შეიძლება მივიჩნიოთ საჯარო მმართველობის სამართალში შემორჩენილ იუპიტერიანული სულისკვეთების მქონე ფორმულად, რომელიც ადმინისტრაციის ქმედებათა სტაბილურობას კონკრეტული მმართველობითი აქტის მასშტაბით უზრუნველყოფს, თუმცა რთულია იგივე ითქვას ისეთ შემთხვევებზე, როცა ის ადმინისტრაციის მიერ თავისი დისკრიმინაციული პრაქტიკის გასამართლებლად გამოიყენება. ასეთ ვითარებაში პრინციპი „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“ იძენს შაგრენის ტყავის ეფექტს – რაც უფრო ხშირად არის ის მოხმობილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ფაქტობრივი განსხვავებული მოპყრობის გამო პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, მით უფრო მცირდება მისი იმუნტეტი დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის მიმართ. ადმინისტრაციის საქმიანობას, რომელიც კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის უარყოფას ემყარება, კანონის უზენაესობის მომსპობი ისეთი ეფექტი აქვს, რომ შეუძლებელია მისი ლოკალური, მხოლოდ კონკრეტული საჯარო მმართველობითი ღონისძიების კანონიერების კონტექსტით შემოფარგვლა.

უკანონობაში თანასწორობის გამო-რიცხვის საკითხზე ევროპულ სამარ-თლებრივ სივრცეში, მაგალითად შვეიცარიულ მიდგომაში, ჩანს, რომ თანასწორობაზე უფლების მიმართ მმართველობის კანონიერების უპირა-ტესობა უკან იხევს, როცა აშკარაა ად-მინისტრაციული ორგანოს მხრიდან მისი ბოროტად გამოყენების ნიშნები. შვეიცარიის ფედერალური სასამარ-თლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ასახული მიდგომით უკანონობაში თა-ნასწორობის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში,

იზოლირებულ ფაქტზე მითითება; არა-მედ საჭიროა, ხელისუფლება კანონის დაუცველობის მყარ პრაქტიკას მის-დევედეს და რომელიმე აღმატებული საჯარო ან კერძო ინტერესი არ მო-ითხოვდეს კანონიერების პრინციპის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებას (Arrêt de la 1^{le} Cour de droit public dans la cause Aéroport International de Genève contre A., Syndicat Suisse des Services Publics et Secrétariat d'Etat à l'économie SECO, 2C_149/2012 du 26 octobre 2012. cf. p. ex. ATF 139 II 49).

tolérance administrative, inapplication condamnable du droit, <https://dice.univ-amu.fr/sites/dice.univ-amu.fr/files/public/211-grabias.pdf>).

საქართველოში პრინციპი „არ არ-სებობს თანასწორობა უკანონობაში“ ვერჯერობით სუსტი გამოვლენით გა-მოიყენება კონკრეტული მმართველო-ბითი ღონისძიების უკანონობის გამოსა-რიცხად. თუმცა შეიძლება იკვეთებოდეს გარკვეული ფრაგმენტული ჩანასახები და სასამართლოს მოუწია, ყურადღე-ბა მიექცია უკანონობაში თანასწორო-ბის არარსებობის პრინციპის დაძლევის ფორმულისთვის.

ამ სტატიის ავტორს საშუალება მქონდა 2019-2021 წლებში მონაწილეობა მიმე-ლო საქართველოს სასამართლოს ერ-თ-ერთი საქმის განხილვაში, რომლის დროსაც პირველი ინსტანციისა და საა-პელაციო სასამართლოებმა დაადგინეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა. მოცემულ საქმეში საქართ-ველოს ერთ-ერთ თვითმმართველ ქა-ლაქში მოქმედი რელიგიური გაერთიან-ება ასაჩივრებდა საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვაზე მერიის უარის კანონიერებას; მაშინ, როცა მის კომპა-რატორს – სხვა რელიგიურ გაერთიან-ებას – შეუზღუდავად, უნებართვოდ და დაუჯარიმებლად ეძლეოდა საკულტო ნაგებობების მშენებლობის შესაძლებ-ლობა. აღნიშნულ საქმეში პირველმა და სააპელაციო ინსტანციის სასამართ-ლოებმა დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინეს. დისკრიმინაციის დადგენა დაეფუძნა დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ რელიგიურ გაერთი-ანებათა შორის საკულტო ნაგებობის მშენებლობის დაშვების თვალსაზრისით აშკარა იყო განსხვავებული მოპყრობა, რის შედეგადაც ერთ რელიგიურ გაერ-თიანებას კომპარატორთან შედარებით გაუმართლებლად ეზღუდებოდა რე-ლიგიის თავისუფლება.

საქმის სააპელაციო განხილვისას ად-მინისტრაციული ორგანო სხვა არგუ-მენტებთან ერთად აპელირებდა პრინ-ციპზე – „არ არსებობს თანასწორობა

უკანონობაში“ და მიუთითებდა, რომ ის ფაქტი, რომ კომპარატორი რელიგიუ-რი გაერთიანება უკანონო მშენებლო-ბის გამო არ ჯარიმდებოდა, არ უნდა გამხდარიყო მოსარჩელისთვის თანას-წორობაზე უფლების წარმოშობის სა-ფუძველი. კომპარატორის დაუჯარიმებ-ლობის ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ის საფუძვლად არ დასდებია პირველი და სააპელაციო სასამართლოების მი-ერ დისკრიმინაციის დადგენას, მაინც საინტერესოდ ფიგურირებდა საქმეში, რადგან სააპელაციო სასამართლომ დისკრიმინაციის დადგენის ნაწილში სა-ჭიროდ ჩათვალა შეესწავლა რელიგი-ურ გაერთიანებათა სამშენებლო სამარ-თალდარღვევებზე მერიის რეაგირების პრაქტიკა და მას დაავალა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც გამოირკვა, რომ საკულტო ნაგებობის მშენებლობისთვის დაჯარი-მების ფაქტები მხოლოდ მოსარჩელე-სა და იდენტური ნიშნის მატარებელი რელიგიური გაერთიანების მიმართ მტკიცდებოდა, ხოლო კომპარატორი რელიგიური გაერთიანების უფრო მრავალრიცხოვანი უკანონო მშენებლობა მერიის მხრიდან რეაგირების გარეშე იყო დატოვებული.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ რე-ლიგიის ნიშნით განსხვავებული ადმი-ნისტრაციული სანქციონების პრაქტიკა არ ყოფილა დისკრიმინაციის დადგე-ნის პირდაპირი საფუძველი, ადმინისტ-რაციული ორგანოს დისკრიმინაციულ-მა მოტივაციამ, რომელიც სამშენებლო სამართალდარღვევათა მიმართ მისი უფლებამოსილების რელიგიის ნიშნით დიფერენცირებულად განხორციელე-ბაში გამოვლინდა, გავლენა იქონია სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამო-ყალიბებაზე დისკრიმინაციული მოპყ-რობის დასადასტურებლად.

ასე რომ, პრინციპი „არ არსებობს თა-ნასწორობა უკანონობაში“ დისკრი-მინაციული მოპყრობის დადგენის თვალსაზრისით ვერ იქნება ადმინისტ-რაციული ორგანოსთვის აბსოლუტური იმუნტეტის მიმნიჭებელი. უკანონობაში თანასწორობის გამოორიცხვის ფორ-მულის დამცავი ფუნქცია მოქმედებს

თანასწორობაზე უფლების მარეგლა-მენტირებელი ადმინისტრაციულსა-მართლებრივი სპეციალური ნორმის – სზაკ-ის მე-4 მუხლის ფარგლებში გამოდგეს კონკრეტული ადმინისტრა-ციულსამართლებრივი ღონისძიების უკანონობის თაობაზე წარმოშობილ დავაში თანასწორობაზე უფლების გა-მომრიცხველად, რომელშიც დისკრი-მინაციის დადგენა კონკრეტული აქტის უკანონობის დამადასტურებელი გარე-მოების როლს თამაშობს. თუმცა მას ვერ ექნება პასუხისმგებლობის გამომ-რიცხავი ეფექტი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრიმინაციული შემწყნა-რებლობის აშკარა პრაქტიკაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, უფ-ლების დაცვის რომელი საშუალება იძლევა აღნიშნული პასუხისმგებლო-ბის საკითხის ეფექტური სასამართლო კონტროლისადმი დაქვემდებარების შესაძლებლობას. პრიორიტეტულ ად-მინისტრაციულ სარჩელთა ფარგლებ-ში მართლმსაჯულებითი კონტროლი კანონიერების პრინციპით იზღუდება, თუმცა დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის დამოუკიდებელ აღიარებით მოთხოვნად დაყენების შემთხვევაში თვალთახედვის ვექტორი გარკვეულწი-ლად იცვლება და სასამართლოს წინა-შე განსხვავებული მიდგომის განვითა-რების საჭიროება წარმოიშობა.

II. უკანონობაში თანას-წორობის არარსებობის პრინციპის მნიშვნელობა დისკრიმინაციის დადგე-ნის მოთხოვნით აღიარე-ბითი ადმინისტრაციული სარჩელის განხილვისას

რადგან უკანონობაში თანასწორობის გამოორიცხვის პრინციპი მოქმედებს რო-გორც ანტიდისკრიმინაციული კანონ-მდებლობის სპეციალური ნორმის – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის გამოწვევით, მისი ამოქ-მედება უკავშირდება პირის მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციულსამართ-ლებრივი უფლების დაცვის პრიორიტე-ტული საშუალებებით არის შემოსაზღ-

ვრული. უკანონობაში თანასწორობის დაუშვებლობაზე უზენაესი სასამართ-ლოს მსჯელობაც არა ზოგადად დის-კრიმინაციის, არამედ ზოგადი ადმი-ნისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის გამოყენების გამორიცხვას მიემართება. როგორც უზენაესი სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატა თავის 2016 წლის 06 დეკემბრის □ბს-475-470 (2კ-16) გადაწყვეტილებაში განმარტავს, „ადმინისტრაციული ორგანოს შეცდო-მის ან კანონის მოთხოვნების გაუთვავ-ლისწინებლობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება არ ანიჭებს სხვა პირს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე მის მიმარ-თაც ანალოგიური გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის უფლებას.“

გასაზიარებელია შვეიცარიის ფედერა-ლური სასამართლოს ზემოთ მოყვანი-ლი მიდგომა ადმინისტრაციის მხრიდან დისკრიმინაციული პრაქტიკის დადას-ტურების შემთხვევაში უკანონობაში თანასწორობის არარსებობის პრინცი-პიდან გადახვევასთან დაკავშირებით, თუმცა ჩვენს რეალობაში არსებული ადმინისტრაციული საპროცესო უფ-ლების დაცვის საშუალებათაგან ეფექ-ტურად გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ აღიარებითი სარჩელი იძლე-ვა, რადგან სხვა შემთხვევებში, როცა პირი მის მიმართ გამოცემული კონკ-რეტული კანონიერი მმართველობითი ღონისძიების წინააღმდეგ დისკრიმინა-ციული მოპყრობის საფუძველით ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე–24-ე მუხლებით გათვალისწინე-ბულ სარჩელს იყენებს, ითხოვს ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობას, აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების დავალებას, თა-ნასწორობაზე უფლება კანონიერების პრინციპის წინაშე ყოველთვის უკან და-იხევს.

სამართალდარღვევისთვის სანქციის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქ-ტის გაუქმების მოთხოვნით წარდგენი-ლი სარჩელისგან განსხვავებით, და-მოუკიდებელი პოზიტიური აღიარებითი

სარჩელის შემთხვევაში დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა ეფუძნება განსხვავებული მოპყრობის პრაქტიკას, რომელიც მნიშვნელოვანია შემოწმდეს როგორც მოსარჩელის და იდენტური ნიშნის მქონე სხვა სუბიექტთა, ისე კომპარატორთა მიმართ განხორციელებული მმართველობითი საქმიანობის თვალსაზრისით. ამგვარი სარჩელის განხილვისას არსებითია უკანონობაში განსხვავებულად მოპყრობის სიმძიმე. მის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციის მხრიდან ყველა კომპარატორის, და

ახორციელებდა და, მოსარჩელისგან განსხვავებით, არასოდეს დაჯარიმებულა, რაც უფლებამოსილების განხორციელების ლეგალიტეტის პრინციპს დაქვემდებარებულ სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკას მყარ, გაცნობიერებულ და მიზანმიმართულ ხასიათს სძენს. ხსენებულ საქმეში ფაქტები სხვადასხვა უკანონო მშენებლობის მიმართ რელიგიის ნიშნით დიფერენცირებულად სანქცირების შესახებ აღიარებითი სარჩელის ფარგლებში დისკრიმინაციის დადგენისა და თანასწორობაზე უფლების გამოორიცხვის კონტექსტში არ

ანტიდისკრიმინაციული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV9 თავით არის რეგლამენტირებული, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც გამოიყენება. ამ კოდექსის 3632-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად პირს დისკრიმინაციული მოპყრობის განმახორციელებლისგან შეუძლია მოითხოვოს „დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა; მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.“ ამავე კოდექსის 3635-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებისა და დისკრიმინაციის მსხვერპლის სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ან გადაწყვეტილება დისკრიმინაციის მსხვერპლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.“

სხვა ტიპის სარჩელებისგან განსხვავებით, რომლებშიც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერება კონკრეტული მმართველობითი ღონისძიების ფარგლებში მოწმდება, ამ შემთხვევაში სასამართლოს კონტროლი შეიძლება ადმინისტრაციის უფლებამოსილების განხორციელების პრაქტიკაზე განხორციელდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის სარჩელი გარკვეულწილად popularis განზომილებასაც ატარებს, რაც არ უნდა იყოს მიჩნეული მოსარჩელის კანონიერი ინტერესის გამოორიცხვის საფუძვლად. უკანონობაში თანასწორობის არარსებობის პრინციპის გამო მოსარჩელემ შესაძლოა ვერ დააკმაყოფილოს თანასწორობის უფლებაზე კანონიერი ინტერესის მოთხოვნა მის მიმართ კანონიერად გამოცემული სანქციის გასაჩივრების ფარგლებში, თუმცა მის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკით განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენისა და, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მიმართ კანონიერი ინტერესი, დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებიდან გამომდინარე, უდავოდ ამკარაა. კანონის წინაშე თანასწო-

რობას ვერ მოვიხმობთ კანონიერად შეზღუდული რომელიმე უფლების აღსადგენად, თუმცა დისკრიმინაციისგან დაცვა სუბიექტური უფლების რანგში აღიარებითი სარჩელის კანონიერი ინტერესად მიჩნევის კრიტერიუმს აკმაყოფილებს. იმ მოცემულობაში, რომელშიც პრინციპის – „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“ მოქმედების შედეგად კონკრეტული მმართველობითი ღონისძიების წინააღმდეგ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე–24-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის საშუალების გამოყენება მოსარჩელეს თანასწორობაზე უფლების გამოორიცხვად უჯდება, დისკრიმინაციის დადგენის მიმართ მისი ინტერესი მხოლოდ ზოგადი აღიარებითი სარჩელით შეიძლება იქნეს მიღწეული. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა ვაკუუმი უფლების დაცვაში, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს, სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპებს.

კანონიერი ინტერესის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს მოსარჩელეთა ორი ჯგუფი: 1. სამართალდამრღვევი, რომელიც შეიძლება კომპარატორის მიმართ ადმინისტრაციული შემწყნარებლობის შედეგად მატერიალურ ზიანს განიცდიდეს (მაგალითად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების დიფერენცირებულად სანქცირების შემთხვევაში) და 2. სამართალდამრღვევი, რომელიც არ განიცდის მატერიალურ ზიანს, მაგრამ ითხოვს დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენასა და შეწყვეტას. ნებისმიერ შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამკარა და ინტენსიური დისკრიმინაციული შემწყნარებლობის პრაქტიკა არ იყოს სასამართლო კონტროლის საგანი. დღეს ადმინისტრაციულ სასამართლოებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოებს დააკისრონ პრაქტიკის შეცვლის ღონისძიებები, რაც ნიშნავს, რომ დისკრიმინაციული ადმინისტრაციული შემწყნარებლობის აღმოფხვრის მიზანი დღეს მოქმედი კანონმდებლობით მიულწეველია. სადისკუსიო თემა, უნ-

და გახდეს თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრიმინაციული პრაქტიკის დადასტურების შემთხვევები, მიუხედავად მათი სავარაუდო იშვიათობისა, სახელმწიფო ხელისუფლების სასამართლო და აღმასრულებელ შტოებს შორის დიალოგის საგანი; ასევე: შესაძლებელია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრიმინაციული საქმიანობის პრაქტიკის დადგენის შემთხვევებმა გამოიწვიოს ე.წ. „ზოგადი ღონისძიებების“ დაკისრების კუთხით სასამართლო კომპეტენციის გაფართოების საკითხის დღის წესრიგში შემოტანა. ნებისმიერ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მიმართ შესაძლო დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრისა და პრევენციის მექანიზმის დაწესება კიდევ ერთი წინააღმდეგობის ნაბიჯი იქნებოდა საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა და ევროინტეგრაციის გზაზე.

დასკვნა


საქართველოს ადმინისტრაციულსამართლებრივი სინამდვილისთვის კარგად ნაცნობი – უკანონობაში თანასწორობის არარსებობის პრინციპი საქართველოში კონკრეტულ მმართველობით ღონისძიებათა წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრაციულსამართლებრივი უფლების დაცვის საპროცესო საშუალებათა საფუძვლიანობის შემოწმებისას ეფექტურად გამოიყენებოდა და გამოიყენებოდა; თუმცა დისკრიმინაციის დადგენის/აღმოფხვრის კომპონენტის შემოტანას ადმინისტრაციულ პროცესში ვითარება უფრო შორს მიჰყავს, როცა პირის ინტერესი შეიძლება მხოლოდ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენაში გამოიხატებოდეს და არ ითხოვდეს მის მიმართ უკანონო მმართველობითი ღონისძიების განხორციელებას ან მისთვის შეფარდებული კანონიერი აქტის გაუქმებას. განსაკუთრებით საყურადღებო ასეთ შემთხვევაში სასამართლო კონტროლის მასშტაბია, რომელიც ამ ვითარებაში დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურების საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანოს უფლება-მოხილების განხორციელების პრაქტი-

კის ზოგად შემოწმებას მოითხოვს, აქვს პილოტური ეფექტი და სასამართლოს ჩამოყალიბებული მიდგომის საგნად უნდა იქცეს.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ისეთ პირობებში, როგორც ჩვენს ქვეყანაშია, პრინციპის – „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“ მოქმედება ზღუდავს თანასწორობაზე უფლებას სარჩელთა პრიორიტეტულ სახეებში, თუმცა აღიარებითი სარჩელის მეშვეობით მას შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს სასამართლო კონტროლის განხორციელებას ადმინისტრაციის მხრიდან საეჭვო განსხვავებული მოპყრობის პრაქტიკაზე, რისთვისაც შეიძლება დისკრიმინაციული პრაქტიკის შეცვლის დაკისრების მიმართულებით საჭირო გახდეს სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების გადახედვა.

ამ სტატიის მიზანი უკანონობაში თანასწორობის გამოორიცხვის პრინციპის მოქმედებით შექმნილი ადმინისტრაციული საპროცესო სამართლებრივი რეალობის დამუშავების თვალსაზრისით მოკრძალებული ნაბიჯის გადადგმა იყო. ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის სიმწირის პირობებში შევეცადეთ მიმოგვეხილა უკანონობაში თანასწორობის გამოორიცხვის ფორმულის მოქმედების ფარგლები და მისი დაძლევის უცხოეთში აპრობირებული კრიტერიუმები ქართული ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფონზე. აღნიშნული მიზნისთვის მაგალითად გამოდგა ერთ-ერთი ქართული საქმე, რომელიც დღესაც საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში საკასაციო ინსტანციაზე განხილვის პროცესშია .

იმედია, პრინციპი „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“ მომავალში გაივლის სათანადო ტესტს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, რაც მისი დაძლევის საკითხზე ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიზნების რეალიზებისა და ადმინისტრაციულსამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფი მიდგომის ჩამოყალიბების საფუძველი გახდება.



ადვოკატის PRO BONO საქმიანობის მნიშვნელობა ადამიანის უფლებების დაცვისთვის

ავტორი თამთა დევდარიანი
ადვოკატი; სასამართლო მედიატორი;
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი

დღესათვის თანამედროვე მსოფლიო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რაც პირდაპირ აისახება ადამიანის უფლებებზე, თუმცა, მიუხედავად მრავალგვარი პრობლემებისა თუ ხელშემშლელი გარემოებისა, ადამიანის უფლებების დაცვა ყოველი ჩვენგანის, განსაკუთრებით კი ადვოკატის, მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

განსაკუთრებულია ადვოკატის როლი მართლმსაჯულების განხორციელები-

სა და ხელმისაწვდომობის პროცესში. აღნიშნული როლის შესრულება ადამიანის უფლებათა ჯეროვნად დაცვის უზრუნველყოფასა და მთლიანად საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობის ვალდებულებასაც გულისხმობს. სწორედ ამ უფლებათა დაცვის სადარაჯოზე ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა მიერ უსასყიდლოდ – „პრო ბონოდ“ – პროფესიული საქმიანობის შესრულებას, განსაკუთრებით კი საზოგადოების იმ ნაწილის საკეთილდღე-

ოდ, რომელსაც ჯანმრთელობისა თუ მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო არ შეუძლია გაიღოს ხარჯი, რომელიც მართლმსაჯულების სისტემასა და მის სერვისებზე ხელმისაწვდომობას უნდა მოხმარდეს დარღვეული უფლების აღსადგენად.

„Pro bono Publico“ (შემოკლებით „Pro bono“) ეს ლათინური ფრაზა ნიშნავს საზოგადოების საკეთილდღეოდ („for the public good“). შემოთავაზებული ფორმულირება, ერთი შეხედვით, პირდაპირი მნიშვნელობით, არ

არის ძნელად გასაგები, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით მის განმარტებას – „საზოგადოების საკეთილდღეოდ“, აღმოვაჩინებთ, რომ ჰუმანურობის, სოლიდარულობის, ემპათიურობის, კაცთმოყვარეობისა თუ გულისხმიერების ცნებებით განმსჭვალული ფრაზაა და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ადვოკატებისთვის, იურიდიული პროფესიის ამ წარმომადგენლებისათვისაა, ადამიანთა მხარში დგომა, მათი უფლებების დაცვა და ინტერესების პრიორიტეტულობა არა მხოლოდ პროფესიული ვალდებულება, არამედ ადვოკატის პროფესიის მიმართ საზოგადოების მაღალი სანდოობის პირობაც არის.

საქართველოში პრო ბონო იურიდიული მომსახურების კულტურის დამკვიდრებისა და ინდივიდუალური ადვოკატისა თუ საადვოკატო ბიუროს საქმიანობაში პრო ბონო მექანიზმის პოპულარიზაციის ხელშესაწყობად სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის გაანალიზებაა აქტუალური, რაც საშუალებას მოგვცემს ფართო წარმოდგენა შევიქმნათ პრო ბონო საქმიანობის იდეის სულისკვეთებასა და უპირატესობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ, უკვე ათეულ წელზე მეტია, ჩვენს ქვეყანაში უფასო იურიდიული დახმარების გაწევა გარკვეულწილად სახელმწიფოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს და აღნიშნულ მომსახურებას ეფექტურად ახორციელებს შესაბამისი იურიდიული დახმარების სამსახური, რეალობამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სისტემები, მისი მანდატის ფარგლებიდან გამომდინარე, სრულად ვერ უზრუნველყოფს იმ პირთა იურიდიული მომსახურების საჭიროებებს, რომლებიც სახელმწიფო იურიდიული დახმარების მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ. შესაბამისად, იურიდიული დახმარების მიღმა რჩებიან ის ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები, ასევე გარკვეულ მოწყვლად გვგუფებს მიკუთვნებული პირებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოჩვენდა რჩება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხი, რაც ყვე-

ლა მოქალაქეს უზრუნველყოფს თანასწორი და ფართო უფლებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად: „უფლება კი არა მართო უნდა არსებობდეს, არამედ პრაქტიკულად რეალიზებადი უნდა იყოს“¹.

აღსანიშნავია, რომ პრო ბონო იურიდიული მომსახურების გაწევა წარმოადგენს არა სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფასო იურიდიული მომსახურების ჩამანაცვლებელ მექანიზმს, არამედ სისტემის დამატებით მომსახურებას, რომელიც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისაა, ხოლო აღნიშნულ საქმიანობაში ჩართვა მნიშვნელოვანი გზავნილია ადვოკატების, ზოგადად, იურისტის, რეპუტაციის ამაღლებისათვის.

ქვემოთ მოცემულია იმ ქვეყნების მაგალითი, რომელთაც წარმატებით განავითარეს პრო ბონო კულტურა.

დღეისათვის ყველაზე მეტად განვითარებული პრო ბონო სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც სხენებული მომსახურების უზრუნველყოფა პროფესიული პასუხისმგებლობაა და ყოველი ადვოკატის პირად ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) 6.1. მოდალური წესის² საფუძველზე ყოველი ადვოკატი უნდა ცდილობდეს ყოველწლიურად არანაკლებ 50 საათისა დაუთმოს საზოგადოების საკეთილდღეო („Pro bono publico service“) იურიდიული მომსახურების გაწევას უსასყიდლოდ ან ანაზღაურების მოლოდინის გარეშე, თუ პრო ბონო მომსახურების ბენეფიციარებს მწირი ფინანსური შესაძლებლობის მქონე პირები ან ის კონკრეტული ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომლებიც შეზღუდული მატერიალური სახსრების მქონე ადამიანებს ემსახურებიან. ხსენებული მოდალური წესები ამკვიდრებს პროფესიული პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტს და განმარტავს, რომ, განურჩევლად ადვოკატის პროფესიული დატვირთვისა, პრო ბონო იურიდიული მომსახურების გაწევა ამგვარი საჭიროების მქონე პირებისათვის, მათ პრობ-

ლემებში უშუალო ჩართვა შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება თვით ადვოკატის ცხოვრებაში.

პრო ბონო საქმიანობა პროფესიული საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დიდ ბრიტანეთშიც, სადაც, მიუხედავად ამგვარი საქმიანობის განხორციელების არასავალდებულო ხასიათისა, ადვოკატებს წახალისებენ მის შესასრულებლად, როდესაც სახელმწიფო ან სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყარო მიუწვდომელია. ამასთან, პრო ბონოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა მომსახურება, თუ იგი ბენეფიციარს უფასოდ მიეწოდება და ნებაყოფლობით გაეწევათ ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მიერ.

ნებაყოფლობით საწყისს ემყარება პრო ბონო მომსახურების გაწევა ავსტრიისა და ბელგიაშიც, რაც ერთ შემთხვევაში მხოლოდ საწყის სამართლებრივ შეფასებასა და პრაქტიკული იურიდიული ინფორმაციის აწვდის, ხოლო მეორე შემთხვევაში დროს თავად ადვოკატი განსაზღვრავს, ანუ ადგენს – როდის უნდა განხორციელდეს აღნიშნული პრო ბონო საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად არასავალდებულო ხასიათისა, პრო ბონო კულტურის დამკვიდრების ეფექტურად ხორცშესხმის მხრივ უნგრეთი მოწინავე ევროპულ ქვეყანას წარმოადგენს. ამაში განსაკუთრებით ხაზგასასმელი არაა სამთავრობო ორგანიზაცია „PILnet“-ის³ წვლილია, რომელიც ცდილობს იურიდიული მომსახურებების განვითარებისა და ინოვაციური მიდგომების დაწერვის ხელშეწყობით ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს მართლმსაჯულება. და ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი სლოგანიც – „Making Law work for all“ – ადვოკატის პროფესიის წარმომადგენელთა დიდი მოტივაციისა და შთაგონების წყაროა, მათ შორის – იურისტების ახალი თაობისთვისაც, რათა კანონის ძალაუფლება საზოგადოების ინტერესების დასაცავად, მათი

წინსვლისა და კეთილდღეობისაკენ მიმართონ.

სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადვოკატის პრო ბონო საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში აქვს. ცხადია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას გარკვეული დრო დასჭირდება, სანამ პრო ბონო მომსახურების გაწევა შესაბამისი საჭიროებების მქონე პირებისათვის ფართოდ დამკვიდრდება.

სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევის გამომხატურებად და ამ კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ განხორციელებული პრო ბონო პროექტები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პაციენტთათვის“⁴ ასევე – პროექტი „მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის“⁵ პრო ბონო იურიდიული დახმარების გაწევის თაობაზე. ამ პროექტების განხორციელებით ადვოკატთა ასოციაციამ იკისრა სოციალური პასუხისმგებლობა ჩართულიყო სასიკეთო საქმეში, რომელიც საზოგადოების სწორედ იმ ნაწილსა და მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ პირებს ემსახურება, რომლებიც სხვადასხვა სუბიექტური მიზეზის გამო სამართლებრივი დაცვის მიღმა რჩებიან.

ჩემი, როგორც ადვოკატის, ზემოაღნიშნულ პრო ბონო პროექტის მონაწილის გამოცდილებამ, მომცა მუხტი და რწმენა იმისა, რომ „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“. კიდევ ერთხელ დავიჯერე, რომ არსებობს არა „შეზღუდული შესაძლებლობები“, არამედ „შეზღუდული დამოკიდებულება“, რომელსაც დროულად და ეფექტურად უნდა გამოვეხმეოთ და ვუპასუხოთ, პრიორიტეტულ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ თანაბარ, სრულყოფილსა და შედეგიან მონაწილეობაში ჩართვის ხელშეწყობა თითოეული ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა; ამასთან, უდიდესი კმაყოფილების მომნიჭებელი,

რადგან ჩვენი, პროფესიული, პრო ბონო, მომსახურებით მონაწილენი ვხდებით და ვიზიარებთ აღნიშნული ჯგუფის თითოეული წარმომადგენლის ცხოვრებასა და ტკივილს. ამ ადამიანთა ცხოვრება და განსაცდელი კი ისტორიებია – მძიმე, გასაჭირით სავსე ცხოვრება, ძნელი და რთული, ზოგჯერ ლამის დაუჯერებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში პრო ბონო კულტურის დანერგვისას განსაკუთრებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის როლი და აქტიურობა, რათა ასოციაციის თითოეულ წევრ ადვოკატს მისწოდეს ხმა პრო ბონო საქმიანობის იდეის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და უპირატესობაზე, რაც მათ მოუპოვებს – როგორც დამოუკიდებელ ადვოკატებს, ასევე იურიდიულ ფირმებს – ნდობასა და ღირსებას, აგრეთვე სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარებას, რაც თავისთავად დადებითად აისახება თავად ადვოკატის პოპულარობის გაზრდასა და მის პრესტიჟზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პრო ბონო იურიდიული დახმარება ვერ იქნება სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იურიდიული დახმარების ჩამნაცვლებელი. პრო ბონო მექანიზმი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იურიდიული მომსახურების ნებაყოფლობით უფასოდ გაწევას და წარმოადგენს უადრესად მნიშვნელოვან წელიწადს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან ეს სისტემა საზოგადოების იმ ჯგუფების დასახმარებლად არის მიმართული, რომელთა სამართლებრივი საჭიროებანი სხვა საშუალებით ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

პრო ბონო საქმიანობის მოდელის ჩამოსაყალიბებლად იმ სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვაა საჭირო, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს: (ა) პრო ბონო მომსახურების ბენეფიციართა წრეს, (ბ) პრო ბონო სერვისის მიმწოდებელ პირებს, (გ) პრო ბონო საქმიანობის განმსაზღვრელ იურიდიულ საკითხთა ჩამონათვალს. მნიშვნე-

ლოვანია, რომ შესაბამის სახელმძღვანელო პრინციპებში ხაზგასმული იყოს ამ საქმიანობის განხორციელება ნებაყოფლობით პრინციპზე დაყრდნობით, ხოლო იურიდიული მომსახურების გაწევა სრულიად უფასოდ.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ პრო ბონო საქმიანობა უადრესად მრავალფეროვანია და მას შეუძლია მნიშვნელოვანი კარიერული უპირატესობანი მოუტანოს არა მარტო გამოცდილ ადვოკატებსა თუ იურიდიულ ფირმებს, არამედ, როგორც ამას არაერთი ქვეყნის წარმატებული მაგალითი ცხადყოფს, პრო ბონო მომსახურების განხორციელება დადებითად აისახება ახალბედა, დამწყები ადვოკატების გამოცდილებაზეც, მათ დამკვიდრებაზე საზოგადოებაში, კარიერულ წინსვლასა თუ ადვოკატის მიმართ ნდობით გამსჭვალვაზე. ძნელია ზუსტად განსაზღვრო ყველა ის უპირატესობა, რომელთაც ადვოკატები პრო ბონო საქმიანობით მოიპოვებენ, მაგრამ მე მჯერა, რომ საზღაური ამისა დიდი იქნება და მეტი, ვიდრე, უბრალოდ, „მართებული ქმედება“ „doing the right thing“.

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების, როგორც მარადიულ ადამიანურ ღირებულებათა, დაცვის ხელშესაწყობად იურიდიული საზოგადოების წარმომადგენელთათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანა სწორედ საზოგადოების საკეთილდღეო („for the public good“) მიზნებისათვის ძალისხმევის მიმართვა უნდა გახდეს, რაც იქნება მნიშვნელოვანი მოწოდება, რომელიც თავად პროფესიონალს გაუთქვამს სახელს.

1 <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=176>

2 https://www.americanbar.org/groups/probono_public_service/policy/aba_model_rule_6_1/

3 <https://www.pilinet.org/about/>

4 <https://bit.ly/3pFnX29>

5 <https://bit.ly/3HNnGR0>

ISSN 1987-5479



9 771987 547000 >